# ტალღა

ცალკე ნომერი 5 კაპ.

თფილისი

პარასკევი, 24 (7) ნოემბერი.

1906

პირველი წელიწადი

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან. ექვსი თვით 4 მან. ერთი თვით ქალაქში 70 კ. ქალაქ გარეთ 80 კ.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა სუფთათ იყოს გადაწერილი. დაუბეჭდავი სტატიები და ვრცელი წერილები ინახება რედაქციაში ერთი თვის განმავლობაში.

დაუბეჭდავი კორესპონდენციები და წვრილი წერილები რედაქციაში არ ინახებიან და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს. წერილობით პასუხისათვის საჭიროა 7 კ. მარკა.

დაუბეჭდავ წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმე დღეობით დილის 11—12 საათამდე.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კაპ. მეოთხე გვერდზე 10 კ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, რედაქცია „ტალღა".

№ 31 ყოველ-დღიური გაზეთი. № 31

1 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ტ ა ლ ღ ა"

ხელის-მოწერა მიიღება **რედაქციის კანტორაში**—მიხაილოვის ქუჩაზე სახლი № 65, [illegible] „შრომის" სტამბა. დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა უქმე დღეში კი 10—12 საათამდე და წიგნის მაღაზია „ოპრაზოვანიე"-ში მიხ. ქუჩაზე.

**გაზეთის ფასი**: ერთი თვით—ქალაქში 70 კ., პროვინციაში—80 კ.

15 ნოემბრიდან წლის დამლევამდე 1 მანეთი. ქალაქ გარეთ 1 მ. 30 კ.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА".

„ტალღის" რედაქცია სთხოვს საზოგადოებათ და დაწესებულებებს აგზავნონ ხოლმე რედაქციაში უწყებები თავიანთ სხდომებზე და კრებებზე დასასწრებლათ.

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის**

დიდუბის ქუჩა სახლი № 5.

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ტელეფონი № 481.

ავათმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

ექ. ტ. ი. **რუდენკო**—შინაგანი სნეულებანი. ორშაბათს და კვირას 3—4 ს.

ექ. ფ. ვ. **ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულებ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.

ექ. მ. ი. **იარნევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

ექ. ვ. ვ. **ვინოკუროვი**—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშაბ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

ექ. ნ. მ. **ახპისოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

ექ. ვ. ზ. **ბოგოვსკი**—შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

ექ. ა. ნ. **თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

ექ. ვ. ი. **ინაევი**—შინაგანი, ყოველ დღე 1—2 პარასკეობით 3—4 ს.

ექ. ა. ა. **მონსო**.—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

ექ. ა. ტ. **როზმაისკი**—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

ექ. ნ. ი. **ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთხშაბ., შაბათს 11—12.

ექ. ა. ა. **ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

ექ. ზ. ფ. **ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—5.

ექ. კ. მ. **პივარსკი**

ექ. კ. ი. **ჩუდნოვსკი** კლინიკური ანალიზი.

ექ. ზ. ი. **ონოზკო**—სამკურნ. გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.

კბილის ექიმი ივ. ახალშენიშვილი

იღებს ავათმყოფებს: დილის 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—12. ნიკოლოზის ქ. № 14.

## კომისია მაკაროვის ადგილის

ამით აუწყებს ყველა ამხანაგებს, რომ, რადგანაც წარსულ კვირას დანიშნული კრება გადაიდო, ამიტომ ვთხოვთ ყველა იმ ამხანაგებს, რომლებსაც ხუთ ხუთი მანეთი აქვთ ნაღდი შემოტანილი მოვიდნენ კვირას, 26 ამ თვეს, დილის 9 საათიდან ნაყიდ ადგილში საპურთალოზე.

დ ი ლ ი ს

ქართული წარმოდგენა

**სახაზინო თეატრში**

კვირას, 26 ნოემბერს, დილით, ქართული დრამატ. დასის მიერ არ ახალ-გაზდა მსახიობთა ბ.ნ ნარკანის და კოლხიდელის სადებიუტოთ წარმოდგენილი იქნება **პირველათ ახალი პიესა**

## სამხედრო ბანაკში

დრ. 4 მოქ. ა. ზეიერლეინისა, თარ. აკაკი ფაღავასი.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნი მდივანი, ბ-ნი: აბაშიძე, გედევანოვი, გუნია, იმედაშვილი, ყიფიანი, კოლხიდელი, ნარკანი, ურუშაძე, ძიძიგური, ბერიძე და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი ხელმისაწვდომია.

რეჟისორი ვ. გუნია.

## ი მ ლ ე ვ ა

ქირით ხუთი ოთახი ზემო სართულში, აქვს ორი ბალკონი ქუჩაზე, კუხნა და წყალი.

**ადრესი**: მეცხრე ნაწილში, კრასნოგორსკის ქუჩა, სახლი ნაზაროვისა, № 3.

5—2

### რუსეთის აზნაურები

14 ნოემბერს პეტერბურგში გაიხსნა რუსეთის ბრწყინვალე თავად-აზნაურობის კრება. კრებას დაესწრო 111 წევრი 30 გუბერნიიდან. ზრდილობიანმა და დარბაისელმა თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა ჯერ ერთი დეპეშა ფიცით გაუგზავნეს და დაბადების დღე მიულოცეს, მერე სტოლიპინთან აფრინეს: ემადლობთ მამაზეციერს, რომ უვნებლათ გადარჩი განსაცდელს; ვიმედოვნებთ განგება მომავალშიაც დაგიფარავს ყოველგვარი ხიფათისაგან და ბოროტ გამზრახველთა ხელისაგან ჩვენდა სანუგეშოთ და მთელი რუსეთის საკეთილდღეოთო. აღასრულა რა ეს სამღვთო ვალი, კრებამ ახსენა ღმერთი, გადაწერა პირჯვარი და შეუდგა საქმეს.

რა საქმე გაუჩნდა ბრწყინვალე წოდებას, რა აწუხებს მას, რას შეუშფოთებია იგი?

საქმე, ცხადია, მეტათ დიდიცაა და მეტათ გაჭირვებულიც. თავად-აზნაურობა კარგათ გრძნობს, რომ მას ფეხ-ქვეშ ნიადაგი გამოეცალა; დრომ და გარემოებამ უპირატესობა და პრივილეგიები ხელიდან გამოაცალა, რომ მთავრობა დღეს მას ისე უხვათ ვეღარ წყალობს და ვეღარ აჯილდოებს თუ ჩინებით, თუ პენსიებით, თუ მამულით და სხვ., უამისოთ კი მოწყალებას და სხვისი შრომის ნაყოფით ცხოვრებას შეჩვეული პარაზიტი წოდება ვერ იცოცხლებს. მაშ რა ქნას მან? ფარხმალი დღეს ვეღარ ჰკრის და მკლავიც ისე დასუსტებულია რაინდთა წოდების, რომ მოქნევა აღარ უვარგა. ცხოვრებამ დღეს სხვა იარაღი მისცა ხალხს ბრძოლისთვის, ეს იარაღი მოქალაქობრივი უფლებებია, მათ შორის უმთავრესი საარჩევნო უფლებაა. თავად-აზნაურობა, რა თქმა უნდა იდუმალათ, გულში იმ იმედს ატარებს, რომ თუ დრო დაუდგა, იგი სრულიად უარს ყოფს ამ იარაღს და თავის დაჟანგულ, ძველებურ იარაღს—პრივილეგიებზე დამყარებულ ძალმომრეობას მიმართავს. მაგრამ ახლა, დღევანდელობით ეს მოუხერხებელია, ამიტომაც ის იძულებულია ახალი ბრძოლის იარაღით იბრძოლოს, მაგრამ თანაც ცდილობს, რომ ეს იარაღი თუ სულ არა, უმეტესათ მაინც მან ჩაიგდოს ხელში.

როგორც კრებაზე განხილული მოხსენებიდან ჩანს, თავად-აზნაურობის წარმომადგენლების აზრით ძირიანათ უნდა შეიცვალოს საარჩევნო კანონები. როგორც ვიცით, წარსული არჩევნების დროს გლეხკაცებს ხმა ქონდათ როგორც ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებლებს და როგორც წვრილ მესაკუთრეებს. მთავრობის ოინი აქ ცხადი იყო. მას ეგონა, რომ გლეხკაცობა მთავრობის თაყვანის მცემელი იყო დღემდისაც და მისთვის სასურველ დეპუტატებს გაგზავნიდა დუმაში. მთავრობას იმედი გაუცრუვდა. აი ეს ვერ მოუნელებია თავად აზნაურობას. „მე, როგორც არისტოკრატს, ჩრცხვენია დუმაში გვერდი მოუჯდე ვიღაც გლეხს ან რომელიმე მუშასო", მედიდურათ განაცხადა აზნაურმა ზუბჩენინოვმა კრებაზე. დიახ, სცხვენია, მაგრამ სირცხვილი კიდევ არაფერი, ეშინია კიდეც. ამიტომაც კრება იმ აზრს დაადგა, რომ საარჩევნო სისტემა უნდა იყოს დამყარებული წოდებრივ საფუძველზე, გუბერნიის საარჩევნო კრებებზე კი გლეხის უფლებები უნდა „გაუთანასწორდეს ცხოვრებით სხვა ჯგუფების უფლებებს". სხვანაირათ რომ მოგახსენოთ, ეს იმას ნიშნავს რომ გლეხების კანდიდატების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს სხვა სამი დანარჩენი ჯგუფების კანდიდატების რიცხვს, ესე იგი მსხვილი მემამულეების, წვრილი მემამულეების და მოქალაქეებისას. რა შედეგი მოყვება ამას? ის, რომ დუმაში მთელი რუსეთის მცხოვრებთა ერთ მეათედს ექნება დანარჩენი ცხრა მეათედის ოდენა ხმა. ასეთი საარჩევნო სისტემის გეგმა ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლების. დამეთანხმებით, რომ არ არის ურიგო აზრი, არ ქნილიყო, კაი იყო: რათ უნდოდა თავად აზნაურობას ან არჩევნები ან მისი სისტემა; მაგრამ რაკი გაწყრა ღმერთი და უამისოთ ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა, ბარემ იგე მაინც იქნეს, რომ ეს რაღაც უფლება მათ ქონდეს ხელში იარაღათ: ვინძლო ხმარებასაც შეეჩვიონ. აზნაურობას, რა თქმა უნდა, იმედი [illegible] სურვილს და ასრულებს კიდეც, მით უმეტეს, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა და რუსეთის თავად-აზნაურობა ღვიძლზე ნადები ძმები არიან, და აკი ცდილობს კიდეც მთავრობა აზნაურობა განსაცდელს გადაარჩინოს. აგერ შავი რაზმელები, ეგერ ჭეშმარიტ რუსთა კავშირი, კიდევ იქით ოქტომბრისტები და სხვა მრავალი ხულიგანები. ამ მხრით თავად-აზნაურობის საქმე ჯერჯერობით გვარიანათ მიდის, მაგრამ ბელა ის არის, რომ მთავრობას მეორე მხრით უჭირს საქმე: ფულია საჭირო, ამას კი უფლებრივი წესის დამყარება ეპირვებაო, გაიძახიან ევროპაში; შინაც გლეხობა და პროლეტარიატი არ ცხრება. კადეტები? კადეტები დღემდის კიდევ იმას გაიძახიან, აზნაურებს ნუ გაიმეტებთ, უსასყიდლოთ მიწას ნუ წაართმევთო. რისთვის, რის გულისთვის უნდა მიეცეს სასყიდელი იმ წოდებას, რომელიც დღემდის თოფ ხანჯლით თავზე ადგა ხალხს და სისხლს სწოვდა ობობასავით, დღეს იმას ცდილობს, რომ ეს ფარ-ხმალიც შეინარჩუნოს და ის უფლებებიც, რომელიც ხალხმა სისხლით მოიპოვა, მარტომ დაისაკუთროს? კადეტებს ერთათ ერთი პასუხი ეთქმის აქ: თუმცა ჩვენ გვეჯავრება თავად-აზნაურობა, მაგრამ როგორც საკუთრების თაყვანის მცემელ და მონა მორჩილნი, აზნაურებს უპატივცემულოთ ვერ ჩავაბარებთ ისტორიასო. მაშ ვინ უნდა გაუსწოროს ანგარიში თავად-აზნაურობას, ვინ უნდა შეუკრას მას გზა ისე, რომ ვეღარც წინ და ვეღარც უკან ნაბიჯი ვერ გადადგას? ვისი ინტერესები მოითხოვს ამას? პასუხი თავისთავათ ცხადია: პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხკაცობამ. აზნაურობაც კი მიხვდა დღეს, რომ საარჩევნო უფლება ბასრი იარაღია. პროლეტარიატი და გლეხკაცობა უნდა ეცადოს, რომ ამ იარაღით მან სხვაზე უკეთ ისარგებლოს. არჩევნები კარზე გვადგას, მაშ ფრთხილათ.

### პოლიტიკური მიმოხილვა

**პოლიციის „განმარტებანი"**

„განმარტებები, განმარტებები, განმარტებები"... აი რაზე მუშაობს ძველი ბიუროკრატიული მანქანა, აი რაზე ახხამენ ტვინს გამოლაყებული სენატორები, სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორები, მაზრის უფროსები და პოლიციელები... აქამდე განმარტებებს სენატი სცემდა და ამ თავის უფლებებით, ყველამ იცის, როგორ შეზღუდა სოფლის და ქალაქის დემოკრატიული ელემენტები. ახლა ეს საკმარისათ არ მიუჩნევიათ და თავის უმაღლეს მბრძანებლის მაგალით-სათვის პატარა გოშიებსაც მიუბაძავთ. პოლიციას ვერ შეუგნია, როგორ შეიძლება ერთ კაცს ორგან ქონდეს არჩევნების უფლება, თუ ის დიდი ვინმე არ არის, მსხვილი მამულების პატრონი და ჯიბე გასქელებული. განა შეიძლება გლეხს ასეთი „უპირატესობა" მიეცეს? რასაკვირველია, არა და აი სამეგრელოს პოლიციას თვით სენატიც კი უკან ჩამოუტოვებია განმარტებების შეთხზვაში. გლეხებს—გვაუწყებენ ეს ახალი კანონმდებლები—სოფლის არჩევნებში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ ერთხელ, დროებით ვოლდებულ და სახაზინო გლეხებს სოფლის ყრილობებზე ათისთავების შემწეობით, მესაკუთრეებს კი წვრილ მიწათ-მფლობელთა სიეზდებზე და აქ არჩეული რწმუნებულების შემწეობით მაზრის მემამულეთა კრებებზეო. ამნაირი განმარტება პირდაპირ ეწინააღმდეგება სენატის განმარტებებს და საარჩევნო კანონებს. ამ კანონების ძალით გლეხებს, ვისაც სოფლათ საკუთარი მეურნეობა აქვთ, უფლება აქვთ სოფლის ყრილობებზე ათისთავების არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. გარდა ამისა იმ გლეხებს, რომლებიც საერობო გადასახადს იხდიან 15 მანეთზე მეტს, შეუძლიათ [illegible] მონაწილეობა მიიღონ პირდაპირ მემამულეთა კრებებზე, იმ გლეხებს კი, რომელნიც 15 მანეთზე ნაკლებ საერობო გადასახადს იხდიან უფლება აქვთ შეუერთდენ სხვა მიწის მესაკუთრეთ, რომ ყველას გადასახადი საერთოთ 15 მანეთს შეადგენდეს და აირჩიონ რწმუნებული მემამულეთა კრებაზე დასასწრებლათ და არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ. ამნაირათ, აშკარაა, სამეგრელოს პოლიციას თავის გულმოდგინეობით თვით კანონიც კი გაუმრუდებია და მის მაგიერ თავის ნება, თავის სურვილი და მოსაზრებები დაუკანონებია; „კარგი რამ გვქონდეს გვიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო", ამბობს დიდებული პოეტი შოთა, და იმეორებს მასთან ერთათ ჩვენი ხალხი. ჩვენი პოლიციისაგან არ უნდა მოველოდეთ არაფერ კარგს, არ უნდა მოველოდეთ კანონის დაცვას, იმ კანონის, რომელიც თვითონ ბიუროკრატიის კანცელარიაშია შეთითხნილი სწორეთ ხალხის წინააღმდეგ, მის დასაპატარავებლათ. რუსეთს, აშკარაა, კანონი არა აქვს, არის მხოლოდ პოლიცია, არიან მოხელეები, და უფლება ეძლევა მხოლოდ მათ, ვისაც ეს პოლიციელები მისცემენ, ვისაც ისინი მოუწოდებენ. მარა ხალხმა არ უნდა დაანებოს მათ ასეთი თვითნებობა; თვითონ უნდა დაუდგეს დარაჯათ იმ მცირე უფლებებს, რომელიც მათ სისხლით და ოფლით მოუპოვიათ და მოითხოვონ მისი სისწორით ასრულება. და სოფლის შეგნებულმა ნაწილმა უნდა ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ ამ საქმეში.

**სტოლიპინის „განმარტებანი"**.

რუსეთის ბიუროკრატია ამ ბოლო დროს ისე შეეჩვია სოციალურ კითხვის ერთი დაკვრით გადაჭრას, რომ რევოლიუცია სათამაშო ბურთათ მიაჩნევია, ხალხის ბედიღბალი ლელოთ და მოედანზე თავისუფლათ ნავარდობას აპირებს. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ სტოლიპინს დუმის საწინააღმდეგო წამალი ახლავე დაუმზადებია—ესაა მისი ხელ-ახლა გარეკა. პირველი დუმის გარეკამ არ გამოიწვია აჯანყება, იმედოვნებს ის, მეორე დუმის გარეკაც არაფერს გამოიწვევს, და ამ იმედით ის აპირებს მანამდე არ მისცეს დუმას მოქმედების ნება, სანამ ის გუჩკოვებით არ აივსება, სანამ შიგ შავრაზმელების მეტი ვინმე დარჩება. მინისტრს დავიწყებია, რომ პირველ დუმის გარეკას სვეაბორგის და კრონშტადტის აჯანყება მოყვა, რომელსაც მოსკოვის და პეტერბურგის გაფიცვა დაერთო, ავიწყდება აგრეთვე, რომ რევოლიუცია მას შემდეგ არ შეწყვეტილა, ჩანს ის მხოლოდ ცხოვრების ზედაპირიდან მის სიღრმეში იმალება, მის გულში ღვივდება და ბოლოს ისეთი სიძლიერით გადმოხეთქს, რომ ერთიანათ წალეკს ბ. სტოლიპინებს და ძმეთა მისთა. მარა ასეთი პლანების სიძლიერე არც თვითონ სტოლიპინს სწამს და საზოგადოების თვალის ასახვევათ ყოველ დღე ათასგვარ პროექტებს თხზავს, დაპირებებს იგონებს, საზოგადოების ყველა წრეებს აშენებას პირდება, ყველა ჯგუფებს მათი ინტერესების დაკმაყოფილებას და ასე ყველას მომადლიერებას და გაბედნიერებას ფიქრობს. ბიუროკრატიის კანცელარიები „ექსტრენათ" სწერენ მომავალ რეფორმების ძირითად პრინციპებს. რეფორმები მოსალოდნელია სწავლა განათლების საქმეში, რეფორმები უნდა მოხდეს სამოსამართლო კანონდებულებაში, რეფორმები პოლიციაში, ერთი სიტყვით ყველგან, ცხოვრების ყველა დარგებში. მაგრამ ამავე დროს ქვეყანა სამხედრო-საველე სასამართლოების ხელშია, მთავრობის ყველა მოხელე პატარა თვითმპყრობელია და ქვეშევრდომების საქმეს თავის ნებაზე წყვეტენ, ასეთ პირობებში რეფორმებზე ლაპარაკი აშკარა თვალთმაქცობაა, გულუბრყვილოთა მოსატყუებელი ფანდებია, მეტი არაფერი. მარა სტოლიპინის მთავრობას ვერც ეს იხსნის. ხალხმა დღეს იცის, რომ დღევანდელ უპასუხისმგებლო მთავრობისგან სასიკეთო არა გამოვა რა, მან იცის, რომ ყველა ამ რეფორმების და დაპირებების მაგიერ ერთი რეფორმაა საჭირო, რეფორმა რადიკალური და ძირითადი—ესაა დღევანდელ მთავრობის გადაყენება და მის მაგიერ ხალხის არჩეული დამფუძნებელი კრების მოწვევა. ის მანამ არ დამშვიდდება, სანამ ამ თავის მიზანს არ მიაღწევს.

**რას უშველის კომისიები?**

ცუდი დრო დაუდგა ჩვენ საურთიერთო კრედიტის ბანკებს. პროტესტში წასული ვექსილები აღარ ეტევა ბანკების პორტფელებში; თავის თავი დაანებეთ, სარგებელიც აღარ არი; მსხვილი ბანკები კრედიტს აღარ იძლევა და თუ იძლევა ვახშური სარგებლით; მიმდინარე ანგარიშზე მისაცემი ფული აბა ვისას აქვს დღეს, ერთი სიტყვით, საქმე ბეწვზე კიდია. როგორც გვატყობინებენ, 19 ნოემბერს ქუთაისში კრება ქონდა იქაურ ვაჭრებს. ბევრი თათბირის შემდეგ, კრებამ აირჩია კომისია. კომისიას დაევალა გავლენა იქონიოს ვაჭრებზე და დაარწმუნოს იგინი, რომ სიტყვა და კეთილი სურვილები არ კმარა, რომ სიტყვის მაგიერ ცოტა ფული გაიმეტონ. 5 ნოემბერს მოხდა ასეთივე კრება ფოთში. თუმცა კრებას არ დასწრებია წევრების საკმაო რიცხვი, მაგრამ კრებამ მაინც კომისია აირჩია, რომელმაც მოხსენება უნდა წარუდგინოს მომავალ კრებას, თუ რა მდგომარეობაშია საქმე, თუმცა საქმის მდგომარეობა, როგორც ეტყობა, უიმისოდაც ცხადია; ბანკის გამგეობამ თავმჯდომარეთურთ თანამდებობას თავი დაანება, ეტყობა საქმე მეტად გაჭირვებულია. არც ბათუმშია საქმე კარგათ. ალბათ აქაც მალე საჭირო შეიქნება კომისია. მაგრამ ვინ არ იცის, რომ საქმეს კომისია ვერ უშველის. დღევანდელ კრიზისს სხვა წამალი უნდა. ჩვენი აზრით კომისიების მაგიერ ჩვენმა ვაჭრებმა უნდა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ, რომ ცხოვრება შეიცვალოს. ისე როგორც ამას მოითხოვს მოწინავე ნაწილი რუსეთის საზოგადოების. თვითმპყრობელობა ვაჭრებს სრულ მდგომარეობას ვეღარ გაუწევს. ეს კარგათ უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა ბურჟუაზიამ.

## საარჩევნო კამპანია

**მინისტრის ახალი განკარგულება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა ტობოლის გუბერნატორს, რომ სამსახურიდან დათხოვნილ პირებს და აგრეთვე ადმინისტრაციის განკარგულებით გადასახლებულთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეკარგვის, როგორც შემჩნეულს და არა საიმედო ელემენტებსო.

**პოლტავის გუბერნიაში,** როგორც ებრაელთა დელეგატი გადმოგვცემს, მემარჯვენეებს ყოველივე იმედი უნდა ქონდეთ დაკარგული არჩევნებში გამარჯვების შესახებ.

**საარჩევნო სიის გამოცხადების ვადა.** შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწემ კრიჟანოვსკიმ ცირკულიარული მოწერილობა დაუგზავნა გუბერნატორებს, რაც შეიძლება ადრე შეადგინონ და გამოაქვეყნონ სათათბიროს ამომრჩეველთა სია. სიის გამოქვეყნება 28 ნოემბერს აღარ უნდა გადაცილდეს. არჩევნების დღე დაინიშნება სიების გამოცხადების შემდეგ.

სენატმა განმარტა, რომ საარჩევნო კომისიებს, არჩევნების დროს შეუძლია, მოსთხოვოს ამრჩევლების პიროვნების შესამოწმებელი საბუთები: პასპორტები, პოლიციის მოწმობები და სხვა.

# ახალი ამბები

✦ გუშინ, 23 ნოემბერს, დილით **გაჩხრიკეს მთაწმინდის გორა** და აღმოაჩინეს 10 ვინტოვკა და 5,000 პატრონა.

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში, 21 ნოემბერს **დაპატიმრეს** ანდრია კრუცკი, რომელიც მეტეხის ციხიდან გამოიქცა 29 ოქტომბერს 25 პატიმართან ერთათ. კრუცკის ბრალდება ამა მიმდინარე წლის ზაფხულში აბასთუმნის ქუჩაზე შეკემოვის მოკვლა. შეკემოვისათვის მკვლელს 36 ჭრილობა მიუცია იარაღით.

✦ **სამეგრელოში შიმშილობაა.** ყოველგვარ უბედურებასთან სამეგრელოს შიმშილობა ეწვია. აუტანელ საზოგადოებრივ პირობებს, ბუნებამაც ხელი შეუწყო და მშრომელი ხალხი უმწეოთ დატოვა. და აი სწორედ ამ დროს მთავრობა შესევია შიმშილისაგან გამწარებულ ხალხს, გაორკეცებული ენერგიით აწიოკებს და სამი წლის ნედოიმკებს ახდევინებს. ადგილობრივი მებატონეებიც, რა თქმა უნდა, დროს შესაფერათ იქცევიან: ან კი როგორ არ ისარგებლებენ შემთხვევით, როცა სახლს ცეცხლი უკიდია, მტაცებელიც გარემოებით სარგებლობს, რომ სხვისი ნაჭირნახულევიდან აცანცლოს რამე. საყურადღებოა აქ კიდევ ერთი ამბავი. სენატის როლი თურმე სამეგრელოში პოლიციელებს და სტრაჟნიკებს უკისრნიათ: აქაოდა სენატმა კარგათ ვერ განმარტა საარჩევნო უფლებები, ამიტომაც პოლიციას განკარგულება მოუხდენია გლეხების არჩევნებზე ათის თავების არჩევის დროს დაესწრენ მხოლოდ დროებით ვალდებული და სახელმწიფო გლეხები; მესაკუთრე გლეხებმა კი უნდა მიიღონ მონაწილეობა მხოლოდ წვრილი მესაკუთრეების კრებაზე და შემდეგ თავიანთი რწმუნებულების საშუალებით მსხვილი მემამულეების კრებაზე. როგორც ჩანს, რუსეთი სენატორებს გოროდოვოები სჯობნებია.

✦ როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, 16 ნოემბერს **კრებაზე დაუჭერიათ** თეოფილე თურმანიძე, გერასიმე კალაძე, ალექსანდრე ბახტაძე და ნიკიფორე კერგენჭია. ყველა ამათ ადმინისტრატიული წესით არხანგელის გუბერნიაში გზავნიან.

✦ ჩვენ ხელთ ჩავიგდეთ ერთი **საუცხოვო წერილი** „ივ. ცინცაძეს! გთხოვთ მოწყალეო ბატონო ეს ერთი ბილეთი მიიღოთ. ეს წარმოდგენა იდგმის ერთ ჩვენ დატანჯულ სცენის მოყვარის სასარგებლოთ“. ვარია კანდელაკოვისაგან, ასეთი წერილი მიუტანიათ ვერაზე შეშის საწყობის პატრონ ივანე ცინცაძისთვის და თან პატტეს ცირკის ლოჟის ბილეთი 3 მ. 50 კ., წარმოდგენა ვითომ დანიშნული იყო 20 ნოემბრისთვის. ივ. ცინცაძეს 3 მ. 50 კ. მიუცია, წასულა დანიშნულ დღეს თეატრში, მარა სად არის წარმოდგენა? ესეც ახალმოდის შანტაჟისტობაა.

✦ როგორც გავიგეთ, ახლო მომავალში შესდგება თფილისის **ნოქართა პროფესიონალური კავშირი**. ამ დღეებში მოხდა კრება, რომელზედაც შეიმუშავეს წესდების პროექტი.

✦ 20 ნოემბერს ყარსის რკინის გზის სადგურ სადახლოზე ლიანდაგს გადასცდენია საქონლის მატარებელი. დამტვრეულა 8 ვაგონი. დაშავებულია მემანქანე.

✦ 22 ნოემბერს, საღამოთი თფილისის საბჭოს დარბაზში შესდგა შეერთებული სხდომა თფილისის ქალაქის გამგეობის და იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ქონდა **შრომის ბირჟის** პროექტის გადათვალიერება. როგორც მკითხველებმა იციან, ეს პროექტი ქალაქის გამგეობამ განსახილველათ წარუდგინა თფილისის ქალაქის საბჭოს, რომელმაც უკანვე დაუბრუნა გამგეობას და ამასთანავე ამორჩეულ განსაკუთრებულ კომისიას დაავალა გამგეობასთან ერთათ გადაათვალიეროს პროექტი და შეიმუშაოს იგი თანახმათ დღევანდელ მოთხოვნილებისა. 22 ნოემბრის სხდომაზე გამოირკვა, რომ თფილისში ისეთი „შრომის ბირჟის“ დაარსებას, რომელიც მხოლოდ ცნობებს აწვდის მთხოვნელს, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. საჭიროა, რომ „ბირჟა“ გარანტიას აძლევდეს, როგორც დამქირავებს, ისე შრომის მკისრებელსაც. შეერთებულმა სხდომამ გამოსთქვა ბირჟა ისეთი უნდა დაარსდეს, როგორც ეს მოწყობილია ევროპის საუკეთესო ქალაქებში და ამიტომ დაადგინა: დაწვრილებით პროექტის გათვალიერება გადაიდოს და შემდეგ სხდომზე მოწვეულ იქნენ ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელნი, რომელთა მონაწილეობითაც შემუშავებულ იქნეს პროექტი.

✦ თფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომიაში სხდომაზე მონაწილეობის მისაღებათ ქალაქის სკოლების სამღვთო სჯულის მასწავლებლების წარმომადგენლებათ ამორჩეულ ქმნენ სამღვთო სჯულის მასწავლებელნი ს. ილ. ჯაში და მერაბიანი.

✦ წარსულ **საარჩევნო კამპანიის დროს** შედგენილ იებით ისარგებლა თფილისის საარჩევნო იების შემდგენელმა ბიურომ მომავალ არჩევნებისათვის. რადგანაც წარსული არჩევნების სიებს ბევრი ნაკლულევანება ქონდა, მათში ბევრი ადრესები სისწორით არ არის მოხსენებული. მიუხედავათ იმისა, რომ ბიურო არ შეეცადა და სწორი ადრესები არ მოიპოვა ასეთი პირებისა, ახლანდელად უპირებს მათ საარჩევნო სიებიდან გამორიცხვას, რაც ამომრჩევლებს ძვირათ დაუჯდებათ, რადგანაც შემდეგ ძნელი იქნება საგუბერნიო საარჩევნო კომისიაში უფლების აღდგენა. არ გვესმის, რათ უნდა გამორიცხონ ადრეს შეცვლილი თუ შეცდომით ჩაწერილნი ამომრჩეველნი. სიების გამოქვეყნების შემდეგ მათ თითონ შეუძლიათ ან შეასწორონ ადრესები და ან ივით გამოცხადნენ გამგეობაში მოწმობების მისაღებათ.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ სადგურ გომის მახლობლად **გაქანებულ სამხედრო მატარებლიდან—№ 22,** გადმოხტომა მოინდომა ახლათ ჯარში გაწვეულმა სეპურჩენკომ და მატარებელს ქვეშ მოჰყვა.

✦ კავკასიის გუბერნატორები აუწყებენ ნამესტნიკს, რომ **ამომრჩეველთა სიები ყველგან დასრულებულია** გარდა ქუთაისის გუბერნიისა. მიზეზი ამისა, როგორც ქუთაისის გუბერნატორი იტყობინება, ის ყოფილა, რომ ძველი სიების გადათვალიერება დროზე ვერ მოუსწრიათ.

✦ 22 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე მე-9 საპოლიციო უბანში, ავჭალისა და რეუტოვის ქუჩების კუთხეში № 27 სახლში თავს დაესხნენ მოიჯარადრე ბაჭიევს. სამი თვის წინათ ბაჭიევი დასჭრეს მეათე საპოლიციო უბანში და იწვა სახლში. ბოროტგამზრახველებმა დაახალეს რევოლვერის ტყვია და მოკლეს.

✦ როგორც სოფელ **სკრიდან** გვატყობინებენ, ამ დღეებში იქ სკრის მემამულეს, გრიგოლ ავსარქისოვს თავს დაეცენ 12 შეიარაღებული უცნობი და მოუნდომეს გაძარცვა. ავსარქისოვმა ყვირილი მორთო ფარსადანოვის ბაღიდან ორი დარაჯი მიშველებია. ხმაურობა სკრის სადგურზედაც გაუგონიათ ჯარის-კაცებს, რომელნიც გამოსდევნებიან გაძარცვის განმზრახველთ და მათთვის 3 ცხენი წაურთმევიათ. თავდამცემნი გადამალულან.

✦ თფილისის სახაზინო პალატის გამგეთ მიხაილოვის ნაცვლათ დანიშნული ბ-ნი **ოსტროვსკი** რუსეთიდან უკვე ჩამოვიდა თფილისში და შეუდგა თავის თანამდებობის, შესრულებას.

✦ ხვალ, 25 ნოემბერს, ავჭალის აუდიტორიაში ქართული სცენის მოყვარენი წარმოადგენენ იბსენის 5 მოქმედებიან დრამას **„ხალხის მტერს“.**

✦ თფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულებს** 22 ნოემბერს საზოგადო კრება ჰქონდათ რამდენიმე მიმდინარე საქმეების განსახილველათ. როცა კრება დაიწყო, თავმჯდომარეს დანდუროვს შეეკითხნენ, რატომ არ ადგენთ კრების განსახილველათ ჩვენს სახელზე შემოტანილ განცხადებას რწმუნებულის ანტონოვისაგანაო. დანდუროვმა უპასუხა, რომ ის საჭიროთ არ ცნობს ამ განცხადების განსახილველათ შემოტანის. ანტონოვის განცხადება ეხება თვით დანდუროვის მოქმედებას. დანდუროვს, როგორც მოქალაქეთ მამასახლისს, უფლება არა აქვს იმავე დროს იკისროს ხაზინადრობა საზოგადოებისა, რადგანაც ორი ამ თანამდებობის შეერთება შეუძლებელია. შემდეგ კრებამ განიხილა რამდენიმე განცხადება მოქალაქეთა რიცხვში მიურეველთა მისაღებ-ჩასარიცხავათ და ზოგი თხოვნები დააკმაყოფილა, დანარჩენი დრო კრებამ წვრილმან საქმეების განხილვას მოანდომა.

✦ 21 ნოემბერს, მერვე საპოლიციო უბანში **და ჭირეს** ფოსტა ტელეგრაფის ჩინოვნიკი სარქის სერკეევი, რომელსაც 20000 მანეთის გაფლანგვა ბრალდება ფოსტის კასიდან და დღემდე იმალება.

✦ 22 ნოემბერს მიხეილის და სადოვაი ქუჩების მახლობლათ 4 რევოლვერებით შეიარაღებული კაცი **თავს დაესხა** ტრაქტირის პატრონს ხვედელიანს, წაიღეს დღიური ნავაჭრი 50 მან. და მიიმალნენ.

✦ 16 ნოემბერს თელავიდან თფილისში მომავალ დილიჟანს თავს დაესხნენ 4 შეიარაღებული მძარცველები, შიგ მჯდომთათვის ფულები წაურთმევიათ და გაქცეულან. მძარცველებს სტრაჟნიკები გამოუდგნენ.

## პროვინცია

**ლანჩხუთის რაიონი.** გაცოცხლდნენ თუ არა მთავრობის ბნელი ძალები, აყვავებული ქვეყანა შავ ძონძებში გაეხვია. თავისუფლების და სამართლიანობის დროშა დაიკეცა და გაჩაღდა რბევა-აწიოკება, ადამიანთა უფლებების და პატიოსნების ფეხქვეშ გათელვა! ძმა ძმას აღარ ინდობს, შვილი მამას, მეგობარი—მეგობარს, აი სურათი მთავრობის მეფობისა დღეს ჩვენში!

დიახ, მთავრობის გამობრუნებასთან ერ[თად] გამობრუნდნენ საზოგადოების ნაძირალი ელემენტები და დაიწყეს უსასტიკ[ესი] ცარცვა-გლეჯა. ამ „ხუნხუზების“ წყალობით მუშაკი იძულებულია თავისი ოფლით სისხლით მონაგარი ორი გროში ხმლის [...] რევოლვერის შიშით მონანებით და მუხ[ლის] მოდრეკით ჩაუყაროს ხელში ვიღაც მუქთახორა მძარცველს. მთელი საზოგადოება ხალხი აწიოკებულ-დარბეული უნდა იყოს ამ გათახსირებულ შავრაზმელებისაგან მარა განა ჩემისთანა სუსტი და უძლ[ური] [...]ენა გამოხატავს იმ ტანჯვა-ვაების ის[ტო]რიას, რასაც ხალხი მათგან განიცდის?! დი[ახ,] ვერა და ამისათვის მე მხოლოდ ერთ მა[გა]ლითს მოვიყვან.

26 ოქტომბერს საღამოს 2 საათზე, ბა[თ]უმიდან მომავალ მატარებელს, სადგურ ჯუმათისა და ლანჩხუთს შორის, თავს და[ე]სხნენ ბოროტგამზრახველნი, გაძარცვეს მგზავრები, „ვესტინგაუზენის კრანის“ საშ[უა]ლებით გააჩერეს მატარებელი და უვნებლ[ად] გაიპარნენ. ცოტა ხნის განმავლობაში ეს ამბავი გაიგო ლანჩხუთის ადმინისტრაციამ. გაა[...]ზირეს „დამსჯელი ექსპედიცია“ ადგილობრივ ბოქაულის მეთაურობით და გაემართა დაბა ჯუმათისაკენ. საბრალო წვრილი [გლე]ხები! მთელი თავისი სიცოცხლის სიტკბ[ო]ების ნუგეში, რამდენსამე წუთის განმავლობაში გაანადგურეს, გრძნობა დაკარგული თავდამსხმელები დავლით დატვირთული დაბრუნდენ ლანჩხუთში. იმავე ღამე[ს] ადმინისტრაციამ ვიღაც ქურის ბავშვის წყალობით შეიტყო ერთი ბოროტგამზრახველთაგანი მოსე ბოლქვაძე და მაშინვე შეიპყრო. გათენდა 27 ოქტომბერი. ლანჩხუთი სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა! მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთში საკმარისი ჯა[რი] იყო, ოზურგეთიდან გაჩნდა „დამსჯე[ლი] რაზმი“. ამავე დღეს შეიპყრეს ბოლქვაძ[ის] და ბავშვის წყალობით სხვა ბოროტგამზრახველნი, რომლებიც ლანჩხუთის მცხოვრებნი აღმოჩნდენ.

წარმოიდგინეთ თქვენ ის შავი დღეები, რომელიც ლანჩხუთის საზოგადოებამ განიცადა. მთელი დღეები, ხშირათ ღამეებიც მშიერ-მწყურვალნი დაძრწოდენ სოფლად, რომ ტალმაჩევის ცეცხლის და მახვილის მსხვერპლი არ გამხდარიყო მთელი საზოგადოება! და ეს იმისათვის, რომ ტალმაჩევმა მოსთხოვა საზოგადოებას: ყველა მძარცველთა შეპყრობა, ამასთან ადგილობრივ სოციალდემოკრატიულ რაიონულ ორგანიზაციის ყველა წევრების გაცემა და საზოგადოების „პრიგოვორით“ სამუდამოთ გადასახლება; წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი „ოტრიადი“ მოთხოვნების ასრულებამდე საზოგადოების ხარჯზე უნდა ყოფილიყო. სოფელი გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა! თითქმის არც ერთი მოთხოვნილების შესრულება არ შეიძლებოდა საზოგადოებისაგან, რადგან ავაზაკები სადღაც გაქრენ და ორგანიზაციის წევრების გაცემ[ა]

# ფელეტონი

**გ მ ი რ ი ს ს ა ფ ლ ა ვ ზ ე**

ღამეა. მთვარეს სხივები
ტოტებში გაუძვრენია
და ხალხის გმირის საფლავზე
ვერცხლისფრით მოუფენია!

იქვე, გაფურჩქნულ ბუჩქებში
ზის ხმა-რაკრაკა ბულბული
და ტკბილათ უსტვენს, უგალობს,
რომ მით დაატკბოს ტანჯული:

„იხარე, გმირო, იხარე,
ხალხი კვლავ იბრძვის, ლომგულობსუ
და მტერს, მის სისხლის მწოველსა, იღ
განადგურებას უპირობს!

თუმცა მტარვალმა შენსავით
ბევრს გაუგმირა გულ-მკერდი,
მაგრამ ვინც დარჩა, მხნეთ არის,
არ დაკარგვია იმედი.

სწამს, გაიმარჯვებს ბოლო დროს
დაამხობს ტახტსა მტრისასა
და მის ნანგრევზე აღმართავს
სიმართლის დროშას თვისასა!“

ასე უგალობს ბულბული...
მთვარე კი აფრქვევს სხივებსა,
გულზე აქარგავს გმირთა-გმირს,
ვით მარგალიტის მძივებსა!

ვ. რუხაძე

## საქმე დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შესახებ მოსკოვში

თვითმპყრობელობის მთავრობა უკვე შეუდგა დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეების გასამართლებას. ერთ ხელ კიდევ გამოდის ცხოვრებისაგან უარყოფილი მთავრობა რევოლიუციის მსაჯულის როლში; ერთ ხელ კიდევ უნდა მას დაინახოს ქვეყანას, რომ ძალაც და სამართალიც მის ხელშია.

15 ნოემბერს დილა-ადრიან აუარებელი ხალხი მოაწყდა სამოსამართლო პალატის შენობას. პოლიციის დარაჯები უკვე ჩარაზმულია. ყოველივე ზომები მიღებულია, რომ ხალხმა წარსული წლის სისხლის ღვრის მოგონება ვერაფრით გამოხატოს. პასუხისგებაშია მიცემული 32 კაცი. მოწმეების გამოძახება და სხვადასხვა კითხვების გარჩევა საღამოს ექვს საათამდე გრძელდება და შემდეგ იწყება საბრალმდებლო ოქმის კითხვა.

**საბრალმდებლო ოქმი.**

1905 წლის პირველ ნახევარში საზღვარგარეთ მოხდა მესამე კრება რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიისა. ამ კრების შესახებ გაზეთ „პროლეტარის“ 27 მაისის პირველ ნომერში, რომელიც გამოდიოდა ჟენევაში, მოყვანილია პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება. აღნიშნავს რა ამ განცხადებაში, რომ რუსეთი დღეს განიცდის რევოლიუციის დიად ისტორიულ მომენტს, რომ ეს მომენტი აკისრებს პროლეტარიატს, თავისუფლებისათვის მებრძოლთა ავანგარდს, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მეთაურის როლს, კომიტეტი დარწმუნებულია, რომ პროლეტარიატი სავსებით აასრულებს თავის მოვალეობას, ჩაუდგება სათავეში შეიარაღებულ აჯანყებას და ბრძოლით მოიპოვებს დემოკრატიულ რესპუბლიკას. შემდეგ განცხადებაში მოყვანილია სიეზდის მიერ მიღებული რეზოლიუციები პარტიის ზოგიერთი ტაქტიკური და ორგანიზაციული კითხვების შესახებ; მათ შორის ერთი შეეხება შეიარაღებულ აჯანყებას. მიიღეთ რა მხედველობაში, 1) რომ პროლეტარიატი თვისი მდგომარეობის გამო ერთად-ერთი მოწინავე რევოლიუციონური კლასია, რის გამოც იგი მოწოდებულია ხელმძღვანელის როლი ითამაშოს რუსეთი საყოველთაო დემოკრატიულ მოძრაობაში; 2) რომ ამ მოძრაობამ უკვე მიგვიყვანა შეიარაღებული აჯანყების აუცილებელ საჭიროებამდე; 3) რომ პროლეტარიატი აუცილებლათ მიიღებს ენერგიულ მონაწილეობას ამ შეიარაღებულ აჯანყებაში, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს რევოლიუციის ბედი; 4) რომ ხელმძღვანელ როლს ამ რევოლიუციაში პროლეტარიატი ითამაშებს მხოლოდ მაშინ, როცა იგი შემოიკრიბება როგორც გაერთიანებული და დაუმოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, სოციალდემოკრატიული პარტიის დროშის გარშემო, რომელიც პროლეტარიატის ბრძოლას უნდა ხელმძღვანელობდეს, როგორც იდეურათ, ისე პრაქტიკულათ; 5) რომ მხოლოდ ასეთი როლის შესრულება შექმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს, რომ პროლეტარიატმა უკეთ იბრძოლოს სოციალიზმისათვის რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შეძლებული კლასების წინააღმდეგ, სიეზდი იმ აზრისაა, რომ პროლეტარიატის ორგანიზაცია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის შეიარაღებული აჯანყების საშუალებით შეადგენს უმთავრეს და დაუყოვნებელ საკითხს პარტიისას დღევანდელ რევოლიუციონურ მომენტში. ამიტომაც სიეზდი ავალებს ყველა ორგანიზაციებს: 1) გააცნოს პროლეტარიატს პროპაგანდის და აგიტაციის საშუალებით არა მარტო პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ პრაქტიკული ორგანიზაციული მხარეც მომავალი შეიარაღებული აჯანყების; 2) გამოარკვიოს ამ პროპაგანდის და აგიტაციის დროს მასსიური გაფიცვების მნიშვნელობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება აჯანყების დასაწყისში და აგრეთვე მისი მსვლელობის დროს; 3) მიღებულ იქნეს რაც შეიძლება ენერგიული ზომები პროლეტარიატის შეიარაღებისათვის და აგრეთვე იმ მიზნისთვის, რომ შემუშავებული იქნეს შეიარაღებული აჯანყების და მისი უახლოესი ხელმძღვანელობის გეგმა, რისთვისაც საჭიროების დაგვარათ უნდა მოეწყოს განსაკუთრებული ჯგუფები პარტიული მუშაკებისგან. II რეზოლიუცია დროებითი რევოლიუციონური მთავრობის შესახებ. მიიღეთ რა მხედველობაში: 1) რომ როგორც უახლოესი ინტერესები პროლეტარიატის, ისე მისი ბრძოლის უკანასკნელი მიზნის, სოციალიზმის, ინტერესები თხოულობენ რაც შეიძლება სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას და, მაშასადამე, თვითმპყრობელობის მოსპობას და მის მაგიერ დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებას; 2) რომ ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელი იქნება როგორც შედეგი ხალხის ძლევამოსილი აჯანყების, რომლის ორგანოა დროებითი რევოლიუციონური მთავრობა, სიეზდი საჭიროთ თვლის გავრცელდეს მუშებში კონკრეტული წარმოდგენა რევოლიუციის უფრო მოსალოდნელ მსვლელობაზე და იმაზე, რომ ამ მოძრაობის ერთ-ერთ მომენტში დროებითი რევოლიუციონური მთავრობა აუცილებელი გახდება. III. რეზოლიუცია პრაქტიკული მორიგებების შესახებ სოციალისტ-რევოლიუციონერებთან. ვადასტურებთ რა რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის დამოკიდებულებას სოციალისტ-რევოლიუციონერებთან, რომელიც განსაზღვრული იყო მეორე სიეზდის რეზოლიუციით და მიიღეთ რა მხედველობაში: 1) რომ სოციალდემოკრატების დროებითი სამხედრო მორიგება სოციალისტ-რევოლიუციონერების ორგანიზაციებთან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხელსაყრელ[ი] იქნება ზოგიერთ შემთხვევებში, 2) რომ ასეთმა მორიგებამ არ უნდა შეზღუდო[ს] სოციალდემოკრატიული პარტიის სრულ[ი] დამოუკიდებლობა და არ უნდა დაარღვი[ოს] ერთიანობა და თავისებურობა მისი პროლეტარული ტაქტიკის და პრინციპების,— მესამე სიეზდი საჭიროთ ცნობს, რომ ცენტრალურმა და ადგილობრივმა კომიტეტებმა საჭიროების დროს მორიგება მოახდინონ ხოლმე სოციალისტ-რევოლიუციონერების ორგანიზაციებთან ისე, რომ ადგილობრივი მორიგება მოხდეს ხოლმე ცენტრალური კომიტეტის ზედამხედველობით. სხვათა შორის ამ სიეზდზე გადაწყვეტილი იყო რუსეთში პარტიის პოპულიარული ორგანოს გამოცემა და ამ მიზნით საჭირო ზომების მიღება. თანახმათ ამ უკანასკნელი გადაწყვეტილებისა წარსული წლის მეორე ნახევარში რუსეთში გამოვიდა პარტიული გაზეთი „მუშა“. ამ გაზეთის მე-3 ნომერში მოთავსებულია წერილი სათაურით: „რევოლიუციის გზა“. წერილში გატარებულია ის აზრი, რომ აუცილებლათ საჭიროა ნაცვლათ თვითმპყრობელობისა ხალხის თვითმპყრობელობის დამყარება შეიარაღებული ბრძოლის საშუალებით, რისთვისაც უნდა მოეწყოს სამხედრო დრუჟინები. მესამე სიეზდის ამავე დადგენილებას ავრცელებდნ[ენ] სოციალდემოკრატიული დრო-გამოშვებითი გამოცემები: „რაბოჩი ლისტოკი“, „მოსკოვსკაია გაზეტა“, „ბარბა“ და არა-ლეგალური გამოცემა, „მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებანი“.

1905 წლის ნოემბრიდან ქ. მოსკოვის საზოგადოებრივ ცხოვრებას მღელვარება დაეტყო. ქუჩებში თავი იჩინა მანიფესტანტების მუშების ბრბომ; მანიფესტანტებმა

თავისივე თავის გაცემა იყო. ხალხმა დაინახა, რომ მთავრობა დაინტერესებულია „ახალთაობის" კაცების გაცემაში და არა იმ მძარცველების შეპყრობაში და მყისვე გადასწყვიტეს ჯარის-კაცები თავის ხარჯზე შეენახათ.

დიახ, საზოგადოება წარმ-შეუხრელათ, მთავრობის სასირცხოთ ჰკვებავდა 250 კაცს და „ახალთაობის" კაცების გაცემაზე ცივ უარზე იდგა. ამას ნათლათ ხედავდა ბ-ნი ტალმაჩევი და ამისათვის ყოველ ღონეს ხმარობდა ხალხის მტკიცე ძალა გაეტეხა. ამ მიზნით შეუდგა „შემჩნეულ" პირების დატუსაღებას. მისი განკარგულებით დაიჭირეს: სიმონ ბარამიძე, ილ. ბარამიძე, იორ. მშვიდობაძე, სამ. კვასხაძე, ნიკ. მშვიდობაძე, იასონ იმედაშვილი, თეიმ. იმედაშვილი, დიომ. ურუშაძე, ირ. თედორაძე, საშ. ბარამიძე, ნ. წილოსანი, ბიკ. კილაბერია, ი. ფირცხალაიშვილი, ვას. ცინცაძე, ესტ. წულაძე, სპირ. ჯაფარიძე, ევგენია და ლიზა ჯაფარიძე, ბიკ. ცინცაძე, ვ. ებრალიძე, აფრ. გოგიჩაიშვილი, ხალ. იმნაძე, ილ. ბარამიძე, ნიკო მშვიდობაძე, ერომა მშვიდობაძე, დათა ბარამიძე, პლ. ცინცაძე, თ. ათ. ასკუროვა, ნესტორ მხეიძე და სხ. მარა მიუხედავათ ამისა, ხალხი მაინც არ შედრკა! მთავრობამ უკანასკნელ ზომებს მიმართა. 11 ნოემბერს შუადღის 4 საათზე მოიწვია მთელი საზოგადოების ყრილობა „ლაშის ღელის" კუთხეში, შემოარტყა ხალხს ალყა და გამოუცხადა: სანამდი „ახალ-თაობის" კაცებს არ მოგვცემთ, იქნამდი არ გაგიშვებთო! ასე, მთელი საზოგადოება, მოხუცი და ახალგაზდა, შეძლებული და შეუძლო, ალყა შემორტყმული იყო და ფეხს არსად ადგმევინებდენ. ხანი გავიდა... აგერ ღამის თერთმეტი საათი შეიქნა და მთავრობამ ხალხი არ გაანთავისუფლა. შემდეგ ამოირჩიეს კაცები და ითხოვეს მოსალაპარაკებელი ვადა ერთი დღე, რაც ტალმაჩევმა დააკმაყოფილა. მეორე დღეს 12-ს, კრება ისევ იქნა მოწვეული 4 საათზე, რაზედაც ხალხმა „ახალთაობის" გაცემაზე პირდაპირი და ცივი უარი განაცხადა. ტალმაჩევი გულ-ამღვრეული უწყრება ხალხს: „მე თქვენი ბავშვი ხომ არა ვარ, ასე რომ მატყუილებთო"! და მართლაც განრისხებული უფროსის დეკრეტის წყალობით თორმეტამდე ახალგაზდები გალახეს ხალხის წინაშე! შუაღამისას 4 საათი გასულიყო, ხალხი ამ სიცივ-ყინვაში იყო და მაინც არ განეზრახა წელში გატეხა. „თუ გინდა ხიშტებზე აგვაცვან, მთელი სოფელი გაგვანადგურონ, არაფრის გულისათვის არ გავსცემთ იმ კაცებს, რომელნიც ჩვენთვის იბრძოდენ!" ამბობდა მოხუცებული—დამწყვდეული გლეხი. აი ასეთ ერთსულოვნებით აღფრთოვანებული იყო მთელი კრება, რის შემდეგ მთავრობა იძულებული შეიქნა ხალხი გაენთავისუფლებია.

გათენდა 13 ნოემბერი. ხალხი დილასვე შეკრიბეს და გამოუცხადეს: რადგანაც ხალხმა „მავნე მიმართულების" კაცები არ გასცა, ამისათვის რაზმის უფროსის განკარგულებით დაჯარიმებულია საზოგადოება სამი ათასი მანეთით! და როდესაც ამ ფულს შემოიტანთ მაშინვე გაგანთავისუფლებთ და ეკზეკუციას მოვხსნითო. ხალხი დაინძრა, ადგილობრივ ვაჭრებს შემწეობით შეკრიბეს 3000 მანეთი და მეორე დღეს ტალმაჩევს მოუტანეს. ამ უკანასკნელმა ორი ათასი მან. უკანვე დააბრუნა, რადგან ეგზეკუციის წესი სამი დღით გააგრძელა.

ნაშუადღევს უფროსის განკარგულებით ისევ შეკრიბეს მთელი საზოგადოება და შეუდგა ბ-ნი ტალმაჩევი აგიტაციას. საკვირველი ორატორი ყოფილა ბ-ნი პოლკოვნიკი. სტატისტიკა ისე ქონია თვითეულ წევრს შესწავლილი, როგორც ორჯერ-ორი ხუთია! „სოციალდემოკრატები,—ამბობს ტრიბუნიდან ბ-ნი ტალმაჩევი, საზოგადოებისას ახდევინებს წელიწაში თორმეტ აბაზს, ანუ მთელ გურიიდან შემოდიოდა 1905 წ. 80,000—100,000 მანეთამდე! ჩვენ კი ვახდევინებდით მთელ გურიას 21,000 მ. ანუ თვითეულ საზოგადოების წევრს 40 კ.! საკვირველი ციფრებია!! მაგრამ გასაკვირი ერთია: რატომ არ არის, რომ იმ თორმეტ აბაზს ჩუმათ, ფარულათ იხდიან გურულები და ამ ორი აბაზის მოსაკრებათ 200 კაზაკი დარჩა საჭირო?! შემდეგ ორატორმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა გურიის კომიტეტის მიერ გამოცემული პროკლამაცია, სადაც ამჟღავნებდენ ფაქტს, რომ ბ. დისთავში ზოგ „ახალთაობის" კაცების გაცემა მოხდა მთავრობის ძალდატანებით, ვექილების შეპყრობით და სხ. და ამბობდა, რომ იქ ხალხმა თავის ნებით მოგვცა „ახალთაობაო"! კარგი, იმას თუ გინდა დავანებოთ თავი, მარა რა უტიფარი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ასეთ ტყუილების შემდეგ აღარ გაწითლდება კიდევ საზოგადოების წინაშე! შეიძლება ეს ვაჟბატონი არც იმას აგდებს ძალდატანებათ, რომ ლ. ნაჩხუთის საზოგადოება დღით და ღამით ყავდა ალყა-შემორტყმული?!

ფედკა

—

**ჭიათურა.** კარგა ხანია მას აქეთ, რაც შორაპნის მაზრის უფროსი მანსვეტოვი და მისი დამქაშები გაიძახოდენ: „ჭიათურის რესპუბლიკა" რამენაირათ უნდა აგილოთო და ხალხს ასაწიოკებლათ მიზეზებს ეძებდენ. გადიოდა დრო და აქაური რაიონების შეგნებული მოძრაობის გამო ვერაფერ მიზეზს ვერ პოულობდენ. ბოლოს თავად-აზნაურებს და მღვდლებს შეუთვალა: გლეხები ვისაც არ გაკმაყოფილებთ შემოიტანეთ საჩივარიო, მაგრამ თავად-აზნაურობა რადასაც უღუმანობდა, ჩივილს ვერ ბედავდა, თუ არ მიეცემოდა მხედველობაში გამონაკლისებს, რომლებისთვისაც ეგზეკუცია არ შეიძლებოდა. ბოქაულებს წინადადება მისცა: ან გადით სამსახურიდან და ან კრამოლნიკები დაატუსაღეთო და მათაც, განსაკუთრებით ბერეჟიანმა და ალხაზიშვილმა, მისცეს ხელი, კრამოლნიკების მაგიერ, უდანაშაულო მცხოვრებთა დატუსაღებას, რომ ამით ადგილი შეერჩინათ. ამზეზის საშოვნელათ მანსვეტოვმა ერთ კვირა დღის წირქვალში წავიდა და წინ კაცი გაუგზავნა მამასახლისს, რომ კრება დამახვედრეთ. ამით უნდოდა, რომ კრება არ შემდგარიყო და მიზეზი მოეგონა, რაც სურდა და როგორც მკითხველებმაც იციან, მანსვეტოვი ყვირილელ დამქაშებით და ასი კაზაკით მიადგა წირქვალს, თან ახლდა სხვათა შორის ცნობილი სოკრატე აბაშიძე და ახლათ გამოსული აშკარა ასპარეზზე ზაქარია ბარათაშვილი. ესენი ადგილობრივი „პატარა ჯაშუშების" შემწეობით „მეთაურთა" სიას ადგენდენ. მანსვეტოვმა გამოუცხადა გლეხებს, რომ სამ დღეში წარმოედგინათ რამდენიმე ათასი მანეთი, რომელიც მათ შეეწერა ზიანი ჯარისა და ზოგიც ნედლიმკების სახით. აგრეთვე დაიბარა აზნაურები და მღვდლები და უთხრა სამ დღეში ვინც არ დაგკმაყოფილოსთ სია მომიტანეთო და გლეხებს შეპირდა: ვისაც საჩივარი შემოვა, კაზაკებს ჩაუყენებ სახლში და გავანადგურებო. გლეხებმა დიდის გაჭირვებით ყველაფერი დანიშნულ ვადაზე დააკმაყოფილეს. კალამი ვერ ასწერს, რაც საძაგლობა აქაურმა აზნაურებმა: გამყრელიძე-ბარათაშვილებმა ჩაიდინეს, ერთი ხუთათ და ათათ გადაახდევინეს ყველაფერი, სამ პირი ტყავი აძვრეს. გაუბედავ აზნაურებს ზაქარია ბარათაშვილი აქეზებდა და ეუბნებოდა, რომ „ხმა ამოიღეთ, იქ რომ ჩამოდიხართ და აწუხებთ ბატონ ნაჩალნიკს რატომ არაფერს ჩივითო". ყველაფერი რომ შეასრულეს, შემდეგ კრების წინ სოკრატ აბაშიძემ წაიკითხა „მეთაურთა" სია, რომლიდანაც ადგილობრივმა მწერალმა ალექსანდრე გამყრელიძემ, წაკითხვამდი რამდენიმე პწკარზე თითით ანიშნა აბაშიძეს ხაზი გაუსვიო, ე. ი. წაშალეო, რასაკვირველია, ჩვენგან გაუგებარი მიზეზის გამო. სიაში იყო უცხო პირებიც, რაზედაც ხალხმა უპასუხა არ ვიცნობთო. ადგილობრივები თითონ გამოეყვნენ კრებას და განაცხადეს აქა ვდგევართო. მანსვეტოვმა ყველანი (18 კაცი) დაატუსაღა და გულდაწყვეტილი—რომ საეგზეკუციო არაფერი დარჩა—გაუდგა გზას.

აღსანიშნავია ახალთაობის აღმზრდელის, პროფილე გურულის საქციელი, რომელმაც მანსვეტოვთან უჩივლა საზოგადოებას, შკოლის შენობის „პაჩინკა" უნდა და თუ ეხლავე არ გადაახდევინებ გლეხებს, მერე აღარ მომცემენო. მანსვეტოვმა ნახევარი საათი ვადა მისცა კრებას შკოლის რემონტისთვის 500 მანეთი წარმოედგინა. ფულის მოტანის შემდეგ ბ. მასწავლებელი წუხდა (?), ცოტა წამომცდაო.

აღსანიშნავია აგრეთვე მანსვეტოვის მოქმედებაში ორი ფაქტი: 1) დაიბარა ჯიბო გამყრელიძე და გაუწყრა, რატომ გლეხებს ნადელებს არ ახდევინებო, რაზედაც ბ. გამყრელიძემ მოახსენა ეჭვგნებინა კანონი, რომლითაც აკრძალულია საკუთრების გაჩუქება, ესევე განიმეორა კნეინა ელისაბედ წერეთელმა. 2) გლეხებს გამოუცხადა ვინც კაზაკების საძაგლობაზე საჩივარს გამოცხადებს, სასტიკათ დავსჯიო. მანსვეტოვმა შეუთვალა სხვა საზოგადოებებს: თუ არ დააკმაყოფილებთ ერთ კვირაში მთავრობისა, თავად-აზნაურობისა და მღვდლების მოთხოვნილებებს, მოვდივარო. ყველგან გლეხებმა, იცოდენ რა მანსვეტოვის კეთილმოყვარეობა, თითონ მიუტანეს ყველაფერი ვისზედაც უთითებდენ და საჩივლელათ არავინ გაუშვიათ, რითაც ისარგებლა მთელმა ზემო იმერეთის თავადაზნაურებმა და მღვდლებმა და განიმეორეს წირქვალის მაგალითი. ჯაშუშები და მანსვეტოვები მაინც გულზე სკდებოდენ, პირველნი იმიტომ, რომ დაჭერილებში მეთაურობა არავის უმტკიცდებათ და უკანვე ბრუნდებიან და მეორენი იმიტომ, რომ ვერაფერი მიზეზი ეშოვნათ „ჭიათურის რესპუბლიკის" გასანადგურებლათ. სწორეთ ამ დროს გამოუჩნდათ მანსვეტოვებს მათი სურვილის ამსრულებლები. ესენი გახლავან ის ხულიგან-ექსპროპრიატორ-ყაჩაღები, რომლებმაც 10 ნოემბერს უდანაშაულო სალდათები თავის სისხლში ჩაახრჩვეს და ოცდა ერთი ათასი მანეთი წაიღეს ჭიათურის სადგურთ მატარებლიდან (ხალხში ხმა დადის, რომ ამ ყაჩაღებს მანსვეტოვ-მახარაძესთან უნდა ქონდეს დამოკიდებულებაო). მანსვეტოვი და კომპანია სიხარულით აღარ არიან, მოიყვანეს ჭიათურაში ოთხასი სალდათი და ორასი კაზაკი და ჩააყენეს მუშათა სასადილოში, თეატრში და სხვაგან, გადააყენეს ბოქაული იოსელიანი და მის ადგილზე დასვეს მახარაძე, რომელსაც ჯირკიც ტერორისტი გონია და კაზაკებში და სტრაჟნიკებში ცხოვრობს! შეაწერეს ჭიათურას და გარეშემო სოფლებს ფოშტაში დაკარგული ფულება ერთი ორათ. სტრაჟნიკები და ჯაშუშები დახეტიალობენ, ტყვეების ჩამოყვანა ჭიათურაში ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა, რაშიდაც ბოქაულები ერთი მეორეს ეჯიბრებიან და ჯერ-ჯერობით ალხაზიშვილს ცალი არა ყავს. ხულიგნური წრეები დღითი დღე მატულობენ. ასეთია სურათი მანსვეტოვის „ბრძოლის ველისა", მაგრამ ჯერ კითხვა არის, აიღებს თუ არა მანსვეტოვი და კომპანია „ჭიათურის რესპუბლიკას".

**ივანიკა.**

—

**ზესტაფონი.** ადგილობრივი ჯაშუშებისა და ხულიგნების წევრთა რიცხვი დღითი-დღე თვალსაჩინოთ იზრდება. უმეტეს ნაწილს შეადგენენ ადგილობრივი აზნაურები, რომლებიც წელზე ტყვიებით და ბერდანკით მხარზედ, აშკარათ დასეირნობენ ბაზარშა და სოფლათ. მთავარი ორგანიზაცია მოთავსებულია დ. ყვირილაში. ორგანიზაციას ყავს რაიონის წარმომადგენელი, სოფლის წარმომადგენელნი წვრილმანი ჯაშუშებით და შიკრიკებით. აგრეთვე რამდენიმე კაცისაგან არის შემდგარი კომისია, რომელსაც ევალება ორგანიზაციისაგან, მოარიგოს ფულებზე ნათესავები და პატრონები დაპატიმრებულთა ზემოხსენებულ წევრებთან. მაგალითათ კრებამ დაადგინა ვისიმე დაჭერა და კიდეც მოიყვანა სისრულეში. ზეისვე გაჩნდებიან შუამავალი კაცები, რომლებიც შეუდგებიან მორიგებას ფულების შესახებ. (არა ნაკლებ 100 მ. და არა უმეტესს 500 მ.) მიუხედავათ იმისა, რომ უმეტესი რიცხვი დაპატიმრებულთა სრულიად უდანაშაულოა, თუ ფულით არ მოურიგდნენ კომისიას, ცრუ მოწმეების ჩვენებით და გუბერნატორის განკარგულებით შორეულ ჩრდილოეთისაკენ იგზავნებიან. ძნელია აგრეთვე თავისუფლათ რომელიმე გაზეთის წაკითხვა, უთუოთ აგივლ-ჩამოგივლიან და ჩაგიხედავენ შიგ. თუ „ტალღას" კითხულობთ, რაიმე არა ჩვეულებრივი სახის გამომეტყველებას მიიღებენ ხოლმე. არა სასურველ მდგომარეობაში არიან ადგილობრივი დაწესებულების მოსამსახურეები და კერძო ოჯახებიც. მაგ. რომელიმე ოჯახში შენიშნეს ხშირად დადის მათთვის არა საიმედო პირი იმ წამსვე შეუდგებიან დასმენის ჯღაბნას და აავსებენ მაზრის უფროსის კაბინეტს, გუბერნატორის კანცელარიას და სხვ. რის გამოც ხდება შესაფერი განკარგულებები.

როგორც ზემოთ არის ნათქვამი, ორგანიზაციის კრება ხშირათ ხდება და გამოაქვთ შესაფერი „რეზოლიუციები".

აქ მომყავს მათი კრების უკანასკნელი დადგენილება. 1) შორაპნის მაზრის ხულიგანთა „კომიტეტი" შესდგება ოთხი კაცისაგან. 2) „ხულიგანთა" პარტიის ნამდვილ წევრათ ითვლებიან ის პირები, რომლებიც თვალ-საჩინოთ გაამრავლებენ ჯაშუშთა რიცხვს აგიტაციის საშუალებით, როგორც მახლობელ სოფლებში აგრეთვე სხვა ქალაქებში და დაბებში, 3) წევრებათ მიიღებიან (ხმის უმეტესობით) აგრეთვე ის პირები, რომელნიც თვეში აღმოაჩენენ ათამდის არა საიმედო პირებს, (სოფლათ ან ქალაქში), 4) სოფლის წვრილ ჯაშუშებს უნდა ეძლეოდეს სადილის ფულათ 40 კ. და აგრეთვე ფეხსაცმელი. 5) ყოველ მათ მოქმედებას თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს კომისიის წევრები, რომლების რიცხვში ორი ადგილობრივი გაჭარი უნდა ერიოს. 6) სოფლებში ძალით წანაგლეჯი ფულები უნდა იყოფებოდეს წევრთა შორის თანასწორათ—ძმურათ. 7) თუ რომელიმე პარტიის წევრი შეიქნეს ბომბის ანუ ტყვის მსხვერპლი, დანარჩენმა ამხანაგებმა შური უნდა იძიონ. 8) ის სტრაჟნიკი, რომელსაც პარტიის წევრები არა საიმედო პირათ იცნობენ, განრისხულ იქნება და მის წინააღმდეგ მიღებულ იქნება ყოველ გვარი ზომები მაზრის უმფროსის საშვალებით.

ყვირილელი მეთვალყურე.

## მუშათა შორის.

—

**ლუიზა მადერის ლუდის ქარხანა.** ამ სამი კვირის წინათ ლუიზა მადერის ლუდის ქარხანაში მოხდა განხეთქილება თვიურსა და დღიურ მუშებში. განხეთქილებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ თვიურმა მუშებმა დაითხოვეს ორი დღიურათ მომუშავე. თუმცა ამ მოქმედებას თვიური ამხანაგები სამუშაოს უქონლობით ამართლებდენ, მაგრამ გამოირკვა, რომ სამუშაო საკმაო იყო და ამხანაგების საბუთი უსაფუძვლო გამოდგა. თითონ ქარხნის პატრონიც ამბობდა, დღიური მუშები არიან საჭირონიო და თუ სამუშაო არ ექნებოდა მუშებს, რათ მოითხოვდა. გარეშე ამხანაგების დახმარებით უთანხმოებას ბოლო მოეღო და დათხოვილი მუშები ძველ ალაგზე მიიღეს. ყველას ეგონა, რომ ქარხნის მუშათა ცხოვრება ძველ კალაპოტში ჩადგა, მაგრამ ეს ასე არ დარჩა. უთანხმოებამ ისევ იჩინა თავი და ახლა იმით დაბოლოვდა, რომ ორის მაგივრად თვიურმა მუშებმა ყველა დღიურები გარეთ გამოყარეს და ულუკმაპუროთ დასტოვეს.

აი ასეთია ლუიზა მადერის ქარხნის მუშათა მოქმედება და ამას ეძახიან ზოგიერთი ამხანაგები შეგნებულ მოქმედებას და შეგნებულ ამხანაგებს. თვიური მუშები ამ შემთხვევაში, ცხადია, იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ, რომ მეტი დრო იმუშაონ და მეტი ფული აიღონ, ხოლო რა მოუვა ქუჩაში გამოყრილ ამხანაგებს, ამაზე სულაც არ ფიქრობდენ.

იმის მაგიერათ, რომ სამუშაო დრო შეამცირონ და ხელფასი მოიმატონ, ლ. მადერის მუშები სამუშაო დღის გაგრძელებას ცდილობენ. იმის მაგიერათ, რომ თავისი ძალა გაადიდონ, გაზარდონ და დღიური მუშებიც თვიურების პირობებში ჩააყენონ, ისინი დღიურებს ქუჩაში ერეკებიან და ამით თავის ძალის განზრახ ამცირებენ.

ლუიზა მადერის მუშებმა თავისი მოქმედებით ნათლათ დაგვანახეს, თუ როგორ ესმით იმათ პროლეტარიატის ინტერესები, ის განსხვავება, რომელიც არსებობს კაპიტალისტთა და მუშათა შორის. მათ რომ ეს ანბანი მუშათა მოძრაობისა რიგიანათ გაერკვიათ, იმედია არც აღნიშნულ სამწუხარო მოვლენას ექნებოდა ალაგი.

საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ იმ სასჯელის სისასტიკე, რომლითაც თვიურმა მუშებმა დასაჯეს თავისი ამხანაგი დღიური მუშები. ასეთი რეპრესიული და სასტიკი ზომა, როგორიც მუშა კაცის ქუჩაში გამოგდება არის, ჩვენ მაშინაც გვაშფოთებს, როცა მთავრობა ჩადის ამას, ხოლო ეს უფრო საზარელი ხდება, როცა მუშისავე განკარგულებით ხდება. თუ მადერის ქარხნის დღიური მუშები დამნაშავენი იყვნენ თვიურების წინაშე, ნუ თუ სხვა საშუალება არ მოიძებნებოდა მათ გასასწორებლათ?! შიმშილით დასჯა მუშისა, ეს მისი ოჯახის შიმშილით დასჯაა.

ახლა მოვუწოდებ ლ. მადერის ქარხნის მუშებს, რომ მეტის ყურადღებით დაუკვირდენ იმ მოძღვრების დედა აზრს, რომლის ოჯახსაც შეადგენენ მთელი ქვეყნის მუშები, გაითვალისწინონ თავისი კლასის საზოგადო ინტერესები და კერძო პირთა საკინკლაო საგნათ არ გახადონ ის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამხანაგებო, თქვენ ძირს გამოუთხრით იმ ხეს, რომელზედაც თითონ ზიხართ.

შეიძლება ბევრ ამხანაგს არ მოეწონოს ჩემი მოქმედება, მათი „შინაური" საქმის საჯაროთ გამოტანა, მაგრამ ეს არ მაშინებს. ქართული ანდაზა ამბობს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო". ჩვენ მადერის ქარხნის მუშებისაგან არ მოველოდით ამგვარ საქციელს და რაკი მოხდა ის, გვეგონა რომ ბოლოს მაინც მოუღებენ მას. ახლა, როგორც ვხედავთ არავინ, ამაზე ყურს არ ანძრევს და ჩვენც იძულებული ვართ ეს მოქმედება მადერის ქარხნის თვიური მუშებისა ამხანაგებს ვამცნოთ.

ჩემი აზრით მადერის მუშათა მოქმედება შემცდარია, მათი საქციელი, ე. ი. დღიურ მუშების ქუჩებში გამოყრა, სასტიკი და თუ ამითაც არ დარწმუნდენ, შემიძლია უფრო ნათლათაც დავუმტკიცო მათ მათი მოქმედების უვარგისობა.

**მუშა ნასირაძე**

## რუსეთის პრესა.

—

პეტერბურგში გამოვიდა ახალი გაზეთი „ნოვაია გაზეტა". გაზეთი მოწინავე წერილში ებება, თუ როგორ ცდილობს მთავ-

---

იწყეს ქალაქში სიარული წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით; აქა-იქ დაიწყო ქარხნის მუშების და ხელოსნების გაფიცვები; იმართება მიტინგები და კრებები დიდძალი ხალხის დასწრებით; გაისმის მხურვალე სიტყვები; ორატორები ხალხს მოუწოდებენ საყოველთაო გაფიცვის და შეიარაღებული აჯანყებისათვის. აქვე მიტინგებზე გროვდება ფული იარაღისთვის და სხვადასხვა კომიტეტების სასარგებლოთ. ქუჩებში და ხალხში ავრცელებენ ურიცხვ პროკლამაციებს; ემჩნევა, რომ დიდძალი ხალხი საზღვარგარეთ მიდის; ხშირდება ფარულათ იარაღის გაყიდვა. ღამ-ღამობით აქა-იქ გაისმის რევოლვერების ხმა; ბოლოს იწყება პოლიციელებზე თავდასხმა; 7 დეკემბერს, როგორც გამოცხადებული იყო, „მოსკოვის მუშათა დეპ. საბჭოს უწყებაში", დაიწყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. ამავე ნომერში დაბეჭდილია მოწოდება ყველა მუშების, ჯარისკაცების და მოქალაქეთა მიმართ. მოწოდებაში დაწვრილებით აღნუსხულია ყოველგვარი ბოროტმოქმედება მეფის მთავრობის ხალხის წინაშე და მოქალაქეებს და ჯარის კაცებს ევალება, რომ იარაღით ხელში შეეგებონ აჯანყებულ ხალხს. „უწყების" მეხუთე ნომერში დაბეჭდილია რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის სამხედრო ორგანიზაციის მოწოდება, რომელშიაც მოყვანილია დაწვრილებითი წესდება, თუ როგორ უნდა მოეწყოს ბრძოლა ქუჩაში პოლიციისა და ჯარის წინააღმდეგ. ამასთან ერთათ იმავე პარტიის კომიტეტმა შეიმუშავა მუშათა მებრძოლი დრუჟინისთვის „წესდება", სადაც ჩამოთვლილია რაზმელების მოვალეობა, დრუჟინების მოწყობა და სხვა.

8 დეკემბერს მოსკოვის რკინის გზებზე, გარდა ნიკოლაევის გზისა, სრულიად შეწყდა მოძრაობა; ვაჭრობა და წარმოება დადგა, ქუჩები ღამღამობით გაუნათებლობის გამო წყვდიადმა მოიცვა. შეიარაღებულთა რიცხვმა თანდათან იმატა ქუჩებში. შეიარაღებულები ნაწილ ჯგუფ-ჯგუფებათ დაიარებოდა; ნაწილი თითო ოროლათ; შეიარაღებულები გოროდოვოებსა და პოლიციის სხვა მოხელეებს იარაღს ართმევდენ. 9 დეკემბერს ტვერის ქუჩაზე თავი იჩინა პირველმა ბარიკადებმა. შემდეგ დღეებში ბარიკადების რიცხვმა იმატა და ზოგი პოლიციის ნაწილები სრულიად მოიცვა ბარიკადებმა. ბარიკადები შესდგებოდა მავთულებიდან დაწყებული, რომელიც გაბლართული იყო ქუჩებში, მთელი სიმაგრეებით; სიმაგრეები აშენებული იყო დაზვავებული ტრამვაისა და რკინის გზ-ს ვაგონებისაგან, ალაყაფის კარები, ლობეები, ცალიერი ბოჭკები, კალათები, იაშჩიკები, ტომრები ფქვილით და ნახშირით, მოხერხილი ტელეგრაფის ბოძები, ბულვარზე მოჭრილი ხეები, ვივესკები, გადაბმული და გადახლართული ერთმანეთზე მავთულებით, აი რისგან იყო აშენებული ბარიკადები. თვითონ დრუჟინიკები მხოლოდ ხელმძღვანელობდენ ბარიკადების შენებას; შავ სამუშაოს კი აკეთებდენ ბავშვები, მოზრდილები და სრულწლოვანი კაცებიც. ბარიკადებს იცავდენ თოფებით შეიარაღებული რაზმელები; პოლიციელების და ჯარის ნაწილების მოახლოების დროს რაზმელები ასტეხდენ ხოლმე სროლას. ბარიკადებს ამოფარებულ რაზმელებს შეუერთდებოდენ ხოლმე ის რაზმელები, რომლებიც მახლობელ სახლებში და ეზოებში იმალებოდენ. რაზმელების ტაქტიკას სავსებით პარტიზანული ხასიათი ქონდა. იგინი ცხადათ არც ჯარის და არც პოლიციის წინააღმდეგ არ მოქმედებდენ და არც ბარიკადებს იცავდენ. როდესაც ჯარი სროლას დაუწყებდა ბარიკადებს და სახლებს, სადაც რაზმელები იმალებოდენ, იქ ჩასაფრებული რაზმელები ფიცხლავ გადიმალებოდენ ახლომახლო ეზოებში და შემდეგ სხვა ქუჩებში, სადაც ლობები ადრიან დარღვეული იყო, რომ დაბრკოლება აეცილებიათ. სამხედრო დრუჟინები დაყოფილი იყო ასეულებათ და ათეულებათ, რომლებსაც ხელმძღვანელობდენ ასის თავები და ათის თავები. ასის თავებს და ათის თავებს ყველა მათი რაზმელები კარგათ იცნობდენ. თუ რაზმს რომელიმე რაზმელი გამოაკლდებოდა, მის მაგიერ წინდაწინვე დანიშნული რაზმელი იჭერდა. ყოველი დღისთვის განსაკუთრებული პაროლი იყო; არსებობდა შეთქმული სიგნალიზაცია (ნიშნება); ღამე ზოგიერთი სახლებიდან სიგნალს იძლეოდენ ხოლმე ანთებული ფანრებით. შედგენილი იყო „წითელი ჯვრის" მფრინავი რაზმი, რომლებსაც დაჭრილი და დახოცილი რაზმელები წინდაწინვე მომზადებულ ადგილებზე მიქონდათ.

შეიარაღებული აჯანყება თანდათან ჩააქრო ჯარმა, რომელიც ანგრევდა ბარიკადებს და არტილერიის საშუალებით თანდათან ატოვებინებდა რაზმელებს იმ ადგილებს, სადაც იგინი გამაგრებული იყვნენ. 17—18 დეკემბრის გაფიცვამ იკლო; მოსკოვის ზოგიერთ რკინის გზებზე მოძრაობა განახლდა. სამხედრო დრუჟინების უკანასკნელი სიმაგრე იყო პრესნის ნაწილი. 17 დეკემბერს, როდესაც იქ მოვიდა ჯარი არტილერიით, მოქმედება სამხედრო დრუჟინის წინააღმდეგ უფრო გაძლიერდა. 22 დეკემბერს პრესნა უკვე თავისუფალი იყო რევოლიუციონერებისაგან. გრადონაჩალნიკის ცნობით მოსკოვში შეიარაღებულ აჯანყების დროს ჯარისკაცებთაგან სულ 422 კაცი მოკვდა და 822 დაიჭრა.

რობა, რომ შეკრიბოს მორჩილი სახელმწიფო დუმა.

„თუ მეორე დუმა ოპოზიციური იქნება—ამბობს გაზეთი—ეს ცხადი მაჩვენებელი იქნა, რომ არსებული რეჟიმი, თავის საველე-სასამართლოებით და „სენატის განკარგულებებით“ ყოვლად უძლურია. თუ მთავრობას ვერ უშველა იმ გმირულმა ზომებმა, რომელსაც მან მიმართა, ეს ნათლად ამტკიცებს, რომ მისი საქმე სამუდამოთ დაღუპულია. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთადერთი საშუალება დარჩენია მთავრობას სრულებით გააუქმოს ხალხის წარმომადგენლობა. ამას კიდევაც ცდილობენ რეაქციონერები. იმათ კარგათ ესმით, რომ ხალხის წარმომადგენლობა, რაც უნდა შეზღუდული იყოს ის, ვერ შეურიგდება არამც თუ საველე სასამართლოებს, არამედ ისეთ „უბრალო“ ზომასაც კი, როგორიც არის გაძლიერებული დაცვა“.

შემდეგ რა მოხდება? ნუ თუ თვითმპყრობელობა მიაღწევს თავის მიზანს და ჩაკლავს ხალხის წინააღმდეგობას. რასაკვირველია, ვერა. გაზეთის აზრით მხოლოდ ერთი გზა-სავალია.

„ხალხი დარწმუნებულია, ის გრძნობს, რომ საბოლოო გამარჯვება მისია. ვთქვათ მოხდა შეუძლებელი. ვთქვათ მეორე დუმა მთავრობის მონა-მორჩილი გამოდგა. მერე დაუჯერებს მას ხალხი? გაჰყვება განა მას? რასაკვირველია, არა. ცხოვრება დუმას მხარს აუქცევს. ის თავისი გზით, მხოლოდ უფრო აბობოქრებულათ და სწრაფათ, წავა და ბოლოს თავისას გაიტანს. კითხვა მხოლოდ იმაშია, გაიმარჯვებს ცხოვრება მშვიდობიანი, თუ ულმობელი ბრძოლის შემდეგ“.

მეფის ხულიგანური მთავრობა ყოველნაირ ზომებს ხმარობს, რომ ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანოს. თავის მოქმედებით ის ცხადათ ამტკიცებს, რომ ეს შავრაზმელთა მთავრობაა. ომს უცხადებს მთელ ხალხს, ამიტომ მხოლოდ ძალა, მხოლოდ ძლევა-მოსილი რევოლუცია მოუღებს ბოლოს ღვარ-წახნილ რეაქციას!

* * *

როგორც ვიცით, რუსეთის თავად-აზნაურთა სიეზდი თხოულობს, რომ შეცვლილ იქმნას საარჩევნო კანონი თავად-აზნაურთა სასარგებლოთ. ამის შესახებ გაზეთი „სეგოდნია“ სწერს:

„რასაკვირველია, ჩვენ არ ვიცავთ იმ დამახინჯებულ საარჩევნო უფლებას, რომელიც წარმოიშვა ბულიგინის დროს, გაიზარდა ტრეპოვისა და დურნოვოს დროს და დასასრულ განიმარტა სენატის მიერ. მაგრამ საყურადღებოა, რომ ამ კანონის წინააღმდეგ გამოილაშქრა რუსეთის თავად-აზნაურობამ. თავად-აზნაურობას სურს ამოფხვრას ამ კანონიდან ყოველივე ის, რაც ცოტათი მაინც საშუალებას აძლევს ღარიბ და დაჩაგრულ ხალხს ისარგებლოს თავის უფლებით. თავად-აზნაურობა პირდაპირ აღიარებს, რომ მას მხოლოდ თავის წოდების ინტერესები სწამს, რომ თავის განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობას ის უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე მთელი ხალხის საჭიროებებს. ის ამბობს, რომ რადგანაც ხალხი მშიერი, უმეცარი, უუფლებო მტრულად უყურებს თავად-აზნაურობას, ამიტომ ეს უკანასკნელიც არ უნდა ებრძოლოს ხალხს, რომელსაც სურს გამოსტაცოს მოწინავე წოდებას გემრიელი ლუკმა. თავად-აზნაურობამ მტკიცეთ გადასწყვიტა, არ დაუთმოს ხალხს არც ერთი პოზიცია. ეს არ უნდა დაივიწყოს ხალხმა“.

ხალხმა კარგა ხანია კბილები გაუსინჯა ჯილაგიან წოდებას. ამას შემდეგ მაინც, რაც რუსეთის თავად-აზნაურობამ გამოირიცხა თავის წოდებიდან საუკეთესო პირები, ვიბორგის მოწოდებაზე ხელის მომწერისათვის, ის ცხადათ ხულიგანურ ბრბოს წარმოადგენს. ხულიგანებს კი, კარგათ იცის ხალხმა, თუ როგორ უნდა გაუსწორდეს.

* *

გაზეთი „რეჩი“ ეხება გურკო-ლიდვალის ინციდენტს და აღშფოთებით ამბობს:

„კმარა, კმარა? საკმარისია მხოლოდ ერთი წამით წარმოვიდგინოთ ის საშინელი სურათი, თუ როგორ იღუპება მშიერი სოფლები, სადაც მძვინვარებს ცინგა და ტიფი, საკმარისია წარმოვიდგინოთ მშიერი ბავშვები, რომლებიც ამაოთ იშვერენ ხელს ერთი ნატეხი პურისათვის, რომ საშინელი აღშფოთება და ზიზღი ვიგრძნოთ, როდესაც მთავრობის გაზეთი „როსსია“ მადლობას უცხადებს გურკოს ლიდვალის საქმისათვის.

ჩვენ ვკითხულობთ: ნუ თუ დღესაც ადგენს გურკო მოხსენებებს, თუ როგორ გამოკვებოს დამშეულები? ნუ თუ დღესაც იმათი ბედი ამ კაცზეა დამოკიდებული“?

დიახ, კიდევ მაზეა დამოკიდებული, რუსეთის ბედ-იღბალი შანტაჟისტ-მინისტრების ხელშია. გურკომ საშინელი მაშინიკობა ჩაიდინა. მინისტრები კი თავის კრებებზე ამბობენ, რომ ეს დიდი არაფერია და გურკოს თავის ადგილზე ტოვებენ. ასე ესარჩლებიან ჩვენი მინისტრები, რახან შანტაჟისტობა იმათი პროფესიაა.

# რუსეთის ამბები

**მინისტრ სტოლიპინის გადაწყვეტილება.** შინაგან საქმეთა სამინისტროს წრეებში დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ სტოლიპინმა საბოლოოთ გადაწყვიტა, სამსახურიდან დაითხოვოს ყველა ერობათა თავმჯდომარეები, გამგეობის წევრები და სხვა მოსამსახურეები, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს თავს არ დაანებებენ. ამისათვის მას დაუდგენია „საზოგადო მოღვაწეთა“ მასიური დათხოვნა ადგილებიდან.

**განათლების მინისტრის ცირკულიარი.** განათლების მინისტრს ცირკულიარი დაუგზავნია სასწავლო მზრუნველებისთვის, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ძლიერ საყურადღებოთ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ ზოგიერთ გიმნაზიებში მოწაფეებმა ზოგიერ მშობლების ზეგავლენით შეიგნეს ჭეშმარიტ რუსების პატრიოტული მისწრაფება და შეერთებული ძალით ებრძვიან თავის რევოლუციონურ ამხანაგებს. ამავე ჯგუფმა უკანასკნელ ხანებში გამოჩენილათ დაიწყო თავის მიმართულების გამოსახვა სხვადასხვა გვარი მანიფესტაციებით და დემონსტრაციებით ადმინისტრაციის სასარგებლოთ. ასეთი ფაქტი სასიხარულოთ უნდა ჩაითვალოს, რადგან ეტყობა მოსწავლე ახალგაზრდობაშიც მოიდგა ფეხი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილმა მიუხედავათ ამისა წინადადება ეძლევა ინსპექტორებსა და დირექტორებს არავითარი მანიფესტაციის ნება არ მისცენ მათ და არც მფარველობა გაუწიონ პატრიოტული გრძნობების განვითარებას.

**რკინის გზის მოსამსახურეებს ჯაშუშებათ ხდიან.** რკინის გზის კავშირის უმთავრეს მოღვაწეებს ადმოახსენებთ, გზათა სამინისტროს მოწერილობა დაუგზავნია უფროსებისათვის, ხელწერილი ჩამოართვით ყველა მოსამსახურეებს თვალყური ადევნონ თავიანთ ამხანაგებს და თუ შეამჩნევენ ვინმეს კავშირის წევრობას, დაუყოვნებლივ მთავრობას შეატყობინონო.

**მარტო ლიფლიანდიის გუბერნიაში** ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში 112 კაცი დაუსჯიათ სიკვდილით.

**ექსპროპრიაციასთან საბრძოლველი ახალი საშუალება.** რკინის გზის ადმინისტრაციას ახალი საშუალება მოუგონია „მტაცებლებთან“ საბრძოლველათ. ეს საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ რკინის გზის სადგურში საგანგებო მოწყობილობა იქნება გაკეთებული. როცა მატარებელს თავს დაესხმიან, კონდუქტორი ზარს ჩამორეკს, რის გამოც მახლობელ სადგურებზე ნიშანი გაჩნდება: „შეიარაღებული თავდასხმაა“. სადგურებში კი ჩაყენებული იქნება მორიგე ჯარის კაცები.

**გურკო ლიდვალის საქმე.** მკითხველს ახსოვს, რომ გურკომ დამშეულთა დასახმარებლად გადადებულ თანხიდან 80,000 მანეთი ბეთ მისცა გ ტერკლოზეტების ქარხნის და კაფე-შანტანების პატრონს ვიღაც ლიდვალს დამშეულთათვის პურის მისაწოდებლათ. ვინ კაფე-შანტანების პატრონი და ვინ პურის მოიჯარადრე! ლიდვალს თავის მხრით ვერც სოტსკისთვის შეუნდვია ამ საქმის გაკეთება, ხოლო ეს უკანასკნელი კი უგზო-უკვლოთ გადაკარგულა. ასე რომ 800000 მანეთიც დაიკარგა და ხალხიც მშიერი დარჩა. თავ-ლაფ დასხმულმა სამინისტრომ ვითომ თავი გამოიდო და პასუხი მოსთხოვა გურკოს, მაგრამ ეს უკანასკნელი ყურსაც არ იბერტყს, რადგან მთავრობის სფეროში მას ბევრი ქომაგი ჰყავს, რომლებიც პასუხისგებაში მიცემის მაგიერათ, მის უმაღლეს დანიშვნაზე ფიქრობენ. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ჩანს ამ საქმეში ბევრი მონაწილეები ყოფილან, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეკატერინოსლავის გუბერნატორის ალექსანდროვსკის და ერთ მეკორსეტე ქალს უჭირავს, რომელსაც ამ ბოლო ხანებში დიდი სიმდიდრე აღმოაჩნდა თურმე. ჯერ ფიქრობდნენ ფუთზე 10—15 კაპეიკს ჩამოარჩენილენ, მაგრამ ბოლოს არჩიეს მთელი ფულების მითვისება. კიდევ კარგი, რომ ადრე შეიტყვეს და 800,000 მანეთის მეტი არ დაანებეს შესაჭმელათ, მაგრამ ვინ იცის დანარჩენ თუთხმეტ მილიონს რა დღე მოელის. საზოგადოება ამ საქმემ მეტათ ააშფოთა და ამბობს მათ დასამშვიდებლათ გურკო თავის თხოვნით ადგილიდან გადის.

**გრინგმუტს არ უშველია შავრაზმელობამ.** რუსთა კავშირის წევრ ქალებს წინადადება შეუტანიათ სხვადასხვა მონარქიულ პარტიებში, რომ გრინგმუტი გაძევებულ იქნეს კავშირის წევრობიდან, რადგან ის წარმოშობით ჭეშმარიტი რუსი არ არისო.

**არეულობა გიმნაზიაში.** ამას წინათ დიდი არეულობა მომხდარა ორიოლის კლასიკურ გიმნაზიაში. არეულობის მიზეზი ის ყოფილა, რომ დირექტორს დაუწყია შავრაზმელთა ჯგუფის შეწყნება და კიდევაც მიუხწევია სწავლისათვის. მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასებში შემდგარა რუსთა კავშირის განყოფილება, საიდანაც დირექტორს ამოურჩევია თითო კლასიდან სამ-სამი კაცი და გაუგზავნია მოსკოვში რუსთა-კავშირის კრებებზე დასასწრებლათ. სხვა შეგირდების გასაგონათ კი ასე დაუბარებიათ შავრაზმელებისათვის: წადით და უყურეთ რა მშვენივრათ და წყნარათ დაპარაკობს დუბროვინიო (ცნობილი ხულიგანი). დანარჩენი შეგირდები მომხდარან რაც იყო საქმე და 121 კაცის ხელმოწერილი პროტესტი გიმნაზიის დირექტორის წინააღმდეგ გაუგზავნიათ „ორლოვსკი ვესტნიკში“ და სთხოვენ საზოგადოებას ყურადღება მიაქციონ იმ გარემოებას, რომ გიმნაზიის კედლებში დირექტორის ნებართვით შავრაზმელთა აგიტაცია არის გაჩაღებული.

**პეტერბურგი გრადონაჩალნიკის ბრძანებით** სატახტო ქალაქიდან გადასახლებულ იქნა 191 კაცი 11 ნოემბრიდან, რომელთაც სატახტო ქალაქში დარჩენის ნება აღარ ეძლევათ საგანგებო დაცვა გამოცხადების შემდეგ.

**ვარშავიდან იწერებიან.** 8 ნოემბერს კიდევ გამოჩნდა ქუჩებში ცხენოსანი და ქვეითი ჯარის კაცები, რომლებიც ყველა გამვლელ-გამომვლელს ჩხრეკენ გზაში. ქალაქი მაშინ ზარმა მოიცვა, პატარა ხანს მერე თოფებმაც იგრიალეს. ჯარის წინამძღოლ აფიცერს ერთი ებრაელის სახლის წინ შეემჩნია რამდენიმე ბავშვები, რომელთაც უბრძანა გაჩერება. ბავშვებს შეშინებიათ და გაქცეულან, გმირ მხედარს უბრძანებია სალდათებისთვის თოფების სროლა. გაისმა სროლის ხმა, რის შედეგიც რამოდენიმე დაჭრილი აღმოჩნდა, იმათ შორის 8 წლის არის გოგონა, რომელსაც ტყვიას გარდა ტანზე ხმლის ჭრილობაც აღმოაჩნდა. ოფიცერი მაინც დანაშაულათ თვლის ბავშვს, რომ გაიქცა, თუმცა დაჭრილება ამბობენ, რომ „გაჩერდი“ ჩვენ არ გაგვგონიაო.

**საშუალება გაზეთის დახურვისათ.** ამას წინათ ქ. ვორონეჟში პროგრესიული გაზეთი „დონსკაია რეჩი“ მოდიოდა. სამი ნომრის გამოსვლის შემდეგ რედაქტორი იძულებული გახდა გაზეთის გამოცემა შეეწყვიტა, რადგან იმავე გუბერნატორიდან, რომელმაც მას ნება მისცა გაზეთის გამოცემაზე, მოწერილობა მიიღო, რომ ერობაში მოსამსახურე პირს არ აქვს უფლება გაზეთი გამოსცესო. ეს ხრიკი იმიტომ მოიგონა გუბერნატორმა ბიზიაკომმა, რომ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილი იყო სახალხო სოციალისტების პროგრამა. მეორე გაზეთის გუბერნატორმა უარესი დღე დააყენა: მან გამოუცხადა მესტამბეებს, რომ მაშინვე დაგიხურავ სტამბას, თუ გაზეთს „პომოშჩნიკ ვრაჩა“-ს დასტამბავთო.

**რა ხდება ბალტიის მხარეში.** აგერ თითქმის ერთი თვეა, რაც ბალტიის მხარეში დიდიან პატარიანა 15—60 წლამდე გაჩხრეკლიან ორი დაკარგული ურიადნიკის საძებნელათ. ძებნაში 2000 სულზე მეტი იღებს მონაწილეობას. სუყველას წვერ წამახვილი ჯოხი უჭირავს ხელში და თითო ფეხის გადადგმაზე ჩარავს მიწაში, ეგებ მკვდარს წააწყდეთ. ამ რიგათ ჯერ-ჯერობით 220 ათას-კუთხედი ვერსტი გადაუსინჯავთ, მაგრამ ვერაფერი აღმოუჩენიათ. თითქმის ყველა ტყეები „გადაჩხრეკეს“, მაგრამ ამ პეშებიდან მთავრობა არ ანთავისუფლებს ხალხს. პირიქით, ბოქაული ამბობს თურმე, ასი წელიწადი რომ დაგჭირდეს, ასიგე წელიწადს გამუშავებთ, სანამ ცხედრებს არ მიაკვლევთო. რა დიდი ხანი დასჭირდება რევოლუციის გამარჯვებას!

**გაზეთის გასაღებაც ასე უნდა.** ჩერნიგოვში 1 ნოემბრიდან გამოდის გაზეთი „ჩერნიგოვსკოე სლოვო“. მთავრობას დაუვალებია ყველა ისპრავნიკებისათვის გადაწყვეტილი ცალი უნდა გაასაღოთ თქვენ სამმართველოშიო, ახლა ისპრავნიკებიც თავის მხრით ამასვე ავალებენ პოლიციის ზედამხედველებს. ერთ მაზრას 250 ცალი მოსწევია გამოსაწერათ, რომლის საფასურათაც მცხოვრებლებმა 1500 მანეთი უნდა გადაიხადონ.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

შარშან დეკემბრის დამლევს ქ. ნუხაში გაიმართა ლიტერატურული საღამო დაზარალებულ გურულების სასარგებლოთ. ხარჯის გარდა დაგვრჩა 29 მანეთი; ეს ფული მაშინვე ვეღარ გამოვგზავნეთ, რადგან რეაქციამ იმ დროს გზა კვალი აგვიბნია და ასეთ ფულების გზავნა შეწყდა, ბოლო დროს (იგონი თებერვალში) ეს ფული გადავეცი ქ-ნ. მარიამ ქართველიშვილისას (ნუხას ყოფილ მაზრის უფროსის მეუღლეს) და დღემდის არ ვიცი, სად გაიგზავნა; ვთხოვ ქ-ბ მარიამ ქართველიშვილისას გაზეთის საშუალებით შემატყობინოს ამ ფულების ბედი.

თამარა.

—

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქუთაისის სათ.-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელს ბ. ანდრო სიმონის ძე ბენიაშვილს, რომელმაც თავის თავზე მიიღო აღზრდა ჩვენი დევნილ ამხანაგის უმცროსი ძმის კონსტანტინე გამსახურდიასი. ამხანაგის ოჯახი უკიდურეს მდგომარეობაშია, მამა აგერ ორი თვეა რაც ციხეში ზის, და შეიძლება 80 წლის მოხუც გადასახლებაც მოელოდეს. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, კონსტანტინე უნდა გამოსულიყო სასწავლებლიდან, მაგრამ გამოჩნდა პატიოსანი ადამიანი, რომელმაც მამობრივი ხელი გაუწოდა მას და მით საშუალება მისცა მათ ორივეს არ დაელიტნათ თავიანთ დაწყებულ საქმისათვის.

ვთხოვთ სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

ალექსანდრე სიმონისძე გამსახურდია, გიორგი ილორელი, (დუნდუა), ბარნაბ ძველაია, ლუკა დავითაია და სხვანი.

—

ვთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მიბოძოთ მადლობა გამოუცხადო ბ. ლავრენტი დოლიძეს და იოსებ მახარაძეს გაზ. „ტალღის“ ორ ეკზემპლიარისათვის გამოგზავნისათვის.

ამაღლების სამკითხველოს გამგე მ. დოლიძე.

### გაზ. „ტალღის“ ფოსტა

ასლან ლევანის ძე ფადავას. რედაქციამ მიიღო თქვენგან ხელმოსაწერი ფული, გთხოვთ, გვაცნობოთ ადრესი დაწვრილებით. მანამდის გაზეთის გამოგზავნა შეუძლებელია.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

22 ნოემბერი.

უცხოეთი.

**პარიჟი.** გაზეთ „ტანი“ ამბობს, რომ რუსეთის მთავრობის უკანასკნელი უკაზები აგრარული საკითხის შესახებ კანონიერია და დიდი გავლენა ექნება გლეხების ცხოვრებაზე, ამიტომ რუსეთის პრესის ერთი ნაწილის აზრი ამ უკაზების შესახებ წრეს გადასულია.

**ვაშინგტონი.** ჰააგის კონფერენციის საკითხის შესახებ რუზველტმა თქვა: „რუსეთის ხელმძღვანელობით შარშან შეუდგენ წინასწარ მზადებას; ახალი ქვეყნის ყველა რესპუბლიკები მოიწვევს მონაწილეობის მისაღებათ. რუსეთის და ნიდერლანდიის ზრდილობამ და წინასწარცნობამ შეიძლება მოგვცა მოვიწვიოთ ახალი ქვეყნის რესპუბლიკების კონფერენცია აგვისტოში, სწორეთ ჰააგის კონფერენციის მოწვევის დღეს. ჰააგის კონფერენციის სანიმუშო პროგრამა დაარიგა რუსეთის მთავრობამ და ეხლა ვსწავლობთ. ფლოტის გაძლიერება საჭირო არ არის, მხოლოდ ძველება ახლებით შეიცვლება. რაც შეეხება არმიას, საჭიროა შეიძლება სკოლების, სამინისტრო საზოგადოებების და სამხედრო კლუბების დაარსება. ყველა მოქალაქე კარგათ მომზადებული სალდათი უნდა იყოს. ამის მაგალითს შვეიცარია იძლევა.

**თავრიზი.** სამშაბათ დილით გაემგზავრა მემკვიდრე მაჰმად ალი-მირზა. ხალხმა დიდის თანაგრძნობით გაცილა. გზებზე ორმაგად ათი ათასი ჯარი დგანან. ნამდვილი წყაროებიდან იტყობინებიან, რომ შაჰი უკეთ არის.

**ბუდაპეშტი.** ავსტრო-უნგრეთის დელეგაციის ბიუჯეტის კომისიაში ერენტალმა სიტყვა წარმოსთქვა: „პირველად გამოვდივარ დელეგაციის რიგში; ჩემი მიზანი მით უფრო მიმსუბუქდება, რომ ავსტრო უნგრეთი ყველა სახელმწიფოებთან კარგ განწყობილებაშია: მე ყველაზე მეტ მნიშვნელობას ვაძლევ გერმანიასთან კავშირს; ბიულოვთან საუბარმა დამარწმუნა, რომ ჩვენ ერთგვარი შეხედულება გვაქ. აგრეთვე იტალიასთან. დარწმუნებული ვარ აგრეთვე, რომ რუსეთთან კავშირიც მტკიცე იქნება. ამაში დავრწმუნდი, როცა პეტერბურგიდან გამოვდიოდი.

**ტოკიო.** იაპონიის და ინგლისის მსხვილმა კაპიტალისტებმა აქ დაარსეს ინგლის-იაპონიის ბანკი.

**ლონდონი.** ლორდების პალატამ მიიღო კანონ პროექტი სამრეწველოებში უთანხმოების გადასაწყვეტათ.

**თეირანი.** შაჰი უკეთ არის. შაბათს მეჯლისის სხდომაზე სედრ-აზამმა განაცხადა, რომ ბევრმა შეგვპირდა მატერიალური დახმარება ნაციონალურ ბანკის დაარსებაში, მაგრამ ჯერ მხოლოდ ათმა კაცმა მოაწერა ხელი.

**ლონდონი.** ათას სამასმა მუშამ უარი სთქვა ზედმეტ მუშაობაზე გულდში, უკეთუ სამუშაო ქირას არ მოუმატებენ. უმრავლესობა გაფიცვის მომხრეა, მაგრამ ლონდონიდან ელიან ცნობას.

**პეტერბურგი.** საღამოს რვა საათზე ნარვის ზასტავის იქით ცეცხლი გაჩნდა ხის შენობას, სადაც მოთავსებული იყო პუტილოვის ქარხნის მუშების სასმარებელი დუქანი. აფეთქდა ნავთის ბოჭკები. შენობა სულ დაიწვა. ზარალი ორასი ათასი მანეთია.—მშვიდობიან განახლების პარტიამ განიხილა რა ებრაელთა საკითხი, დაადგინა, რადგან პარტიის პროგრამა ყველა ერების უფლებრივ თანასწორობას სცნობს, ამიტომ ამ კითხვის შესახებ არავითარი კერძო დადგენილება საჭირო არ არისო.—ტყუილია გაზეთების ცნობა, თითქო სტახოვიჩს 17 ოქტომბრის კავშირიდან გასვლა, მშვიდობიან განახლების პარტიის მოსკოვის კომიტეტის ზეგავლენით, [illegible] კომიტეტი აცხადებს, რომ ეს კითხვა პირველად განიხილა ცენტრალურმა კომიტეტმა, რაზედაც თვით სტახოვიჩიც დაესწრო. სტახოვიჩი დათანხმდა კომიტეტის გადაწყვეტილებას და 17 ოქტომბრის კავშირს გაუგზავნა განცხადება კავშირიდან გამოსვლის შესახებ.

**განჯა.** ეხლახან წყდას ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა არჩევის დროს პარტიებს ძლიერი შეტაკება მოუვიდათ. არიან ქვეშით დაჭრილები. გამოიწვიეს ჯარი. წესიერება აღდგენილ იქნა.

**პეტერბურგი.** 18 და 21 ნოემბერს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მოწონებულ იქნა შემდეგი წინადადებები: 1) სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს—გადაეცეს ბაქოს ნავთის მწარმოებლებს ბალახანაში სახელმწიფო მიწები მუშათა უბნის გასაშენებლათ. 2) შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიეცეს სესხით ერობებს 3) სამა მილიონი ხუთას სამოცდა ცამეტი ათას სამას ოცდა სამი მანათი და სხვა.

**მოსკოვი.** ოცდა ხუთ ნოემბერს მოხდება ნემეცთა ჯგუფის 17 ოქტომბრისტების საზოგადო კრება სხვა პარტიებთან ბლოკის შეკვრის შესახებ. ნება დართულ იქნა გლეხთა 17 ოქტომბრის კავშირი.—საერობო გამგეობამ მიმართა მოსამსახურეებს განცხადებით, სადაც მოითხოვენ მათგან თანამდებობის კეთილსინდისიერათ შესრულებას, მიუხედავათ პოლიტიკურ რწმენისა; მხოლოდ გამგეობა იმედოვნებს, რომ მოსამსახურეები გამგეობას პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზათ არ გახდიან და იარაღს არ შეინახავენ. ამასთან გამგეობა ფიქრობს, რომ აღმოჩენილ იარაღის შენახვაში მოსამსახურეებს ბრალი არ უდევთ და შესაძლებელია კრებების დროს მოიტანა ვინმე კერძო პირმა. ამიტომ კრების შემდეგ გამგეობის შენობას გაჩხრეკენ და დაკეტავენ.

**ოდესა.** ყოფილ მოსამსახურეების დახმარებით შორეულ აღმოსავლეთისაკენ წავიდა გემი „ეკატერინოსლავი“. ხერსონისაკენ წავიდა გემი „სუვოროვი“. გემზე ნავთსადგურის მუშები მსახურებენ. სხვა ნავთსადგურებიდან გემები არ მიდის.

**მოსკოვი.** დუმის ყოფილი წევრი ივანჩენკო, რომელიც წასულ კვირაში დააპატიმრეს, ხუთასი მანათის თავდებში განთავისუფლეს.

**პეტერბურგი.** პიროგოვის სახსოვრათ, რუსეთის ექიმთა საზოგადოებას, მათი სიეზდის ნება არ მისცა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

**პეტერბურგი.** ვიბორგის რაიონის მუშებმა 21 ნოემბერს მიტინგზე დიდი კამათის შემდეგ გადასწყვიტეს არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ მიიღონ მონაწილეობა დუმის არჩევნების დროს, რის შესახებაც ეცნობა რაიონულ ორგანიზაციებს შესწყვიტონ აგიტაცია.

**პეტერბურგი.** ბირიუჩში, დუხოვშჩინსკის მაზრაში, სლონიმში და რიგაში, გაიხსნა მიწის მომწყობი კომისიები. ნოვომოსკოვსკის კომისიამ განსაზღვრა თითო სულზე მიწები, მამაკაცზე სამი დესეტინა და დედაკაცზე ერთი. სარატოვის კომისიამ მიიღო განცხადება მიწების ყიდვის შესახებ—სულ ოთხმოცდა ხუთიათასი დესეტინა, ვასისნსკში—სამი ათასი.

**ლოძი.** პოზნანსკის საზოგადოების გამგეობამ არ შეიწყნარა მუშების თხოვნა და ფაბრიკებს ხურავს.

### თავდასხმა და მკვლელობა.

**პეტერბურგი.** დღეს დილის თერთმეტ საათზე ფონტანკის ახლო-ვიდაც უცნობ მუშამ რევოლვერით თავში მძიმეთ დასჭრა მესამე საპოლიციო ნაწილის ბოქაულის თანაშემწე შერემეტოვი. დაჭრილია მეეზოვე და ქალი. მკვლელმა იქვე მოიკლა თავი. დაჭრილები საავადმყოფოში წაიყვანეს.

**ასხაბადი.** კიზილ არვატში მოკლეს უბნის ზედამხედველი. მკვლელებს უნდოდათ პოლიციის უფროსი კაპიტან სელნიკოვის მოკვლა, მაგრამ ის უვნებლათ გადარჩა, ტყვიამ მხოლოდ ტანისამოსი გაუხვრიტა.

**კასტრომა.** დილით სმოლენსკი ქუჩაზე ალყა შემოარტყეს კონსპირატიულ ბინას. შიგ მყოფებმა მძარცველებმა რევოლვერები დაუშინეს ფანჯრებიდან. დარაჯებმა ორი ზალპი მისცეს. მძარცველები დანებდნენ. დაიჭირეს ექვსი კაცი. ამათში ერთი გიმნაზიელია და ერთი ქალიშვილი.

### სასამართლო.

**პეტერბურგი.** დღეს დილის თერთმეტ საათზე დაიწყო კრონშტადტში 1905 წელს 15 მაისს იაპონიის ზღვაში ესკადრის მატროსისათვის გადაცემის საქმე. ბრალს სდებენ სამოცდა თვრამეტ კაცს. უმთავრესი დამნაშავეებია: ადმირალი ნებოგატოვი და კომანდირები: სმირნოვი, გრიგორიევი, ლიშინი და შვედე. იცავენ ნაფიცი ვექილები სარტლანოვი, ბაზუნოვი, კარაბჩევსკი, ავამან-სმარინი და იაპონიის ყოფილი კონსული პოლიკანი, გენერალი ბაბანსკი და სხვ. პროცესი ორ-სამ კვირას გაგრძელდება.

**სევასტოპოლი.** საზღვაო-სამხედრო სასამართლოში გაირჩა ადმირალ ჩუხნინის მოკვლის საქმე. დამნაშავეთ იცნეს მატროსი ბონდარენკო და გლეხი მიტენკო, რადგან მათ ზომები არ მიიღეს მკვლელის დასაჭერათ. მათ თხუთმეტი წლის კატორღა გადაუწყვიტეს, მერმე პოსელოვი გაამართლეს.

რედაქ. გამომცემელი ი. ოტიაშვილი.

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ თფილისი, მიხეილის ქუჩ, № 65.